საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 51 (324) ● შაბათი, 28 მარტი, 1992 წელი ● ფასი 1 მანეთი.

თბილისი

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ გერმანიის ქალაქ ბიბერახიდან მიიღო ქალაქის ბურგომისტრის კლაუს ვ. ჰოფმანის წერილი, რომელშიც ნათქვამია:

ღრმად პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ, ორმა მოვლენამ, რომელიც დროში ერთმანეთს მიჰყვა, დიდი სიხარული მომანიჭა; საქართველომ თქვენ აგირჩიათ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ და ამის შედეგად სულ მოკლე ხანში საქართველო სუვერენულ ქვეყანად ცნეს ევროპულმა გაერთიანებამ და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ.

ორივე მოვლენას გილოცავთ მთელი გულით, პირადად ჩემი სახელით და ქალაქ ბიბერახის სახელით, რომელიც ქ. თელავთან არის დამძობილებული.

გისურვებთ ჯანმრთელობას. ენერგიას და წარმატებას იმ ურთულესი ამოცანების დასაძლევად, რომლებიც თქვენს წინაშე დგას.

იმისთვის, რომ ოდნავ მაინც შევიმსუბუქოთ მდგომარეობა, ჩვენ შეძლებისდაგვარად მზად ვართ მხარში ამოგიდგეთ, კერძოდ, მრეწველობის განვითარების საქმეში.

დიდად მოხარული ვიქნებით, თუ გამონახავთ დროს და ჩამობრძანდებით ჩვენთან ბიბერახში, სამხრეთ გერმანიის პატარა ქალაქში. სადაც შარშან ოქტომბერში გერმანია-საბჭოთა კავშირის დაძმობილებული ქალაქების III კონგრესი გაიმართა.

ისრაელმა ცნო საქართველო

ისრაელის სახელმწიფოს მთავრობამ 1992 წლის 26 მარტს მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. ისრაელის სახელმწიფო უსურვებს საქართველოს ხალხს მშვიდობასა და აყვავებას სახელმწიფო დამოუკიდებლობის გზაზე.

ისრაელის სახელმწიფო სარგებლობს შემთხვევით, რათა განუახლოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მისი ღრმა პატივისცემის გამოხატულება.

ის საქინფორმს აცნობებს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

რუმინეთი-საქართველო

ბუქარესტი, 25 მარტი. (იტარ-საკდესის კორ. დ დიაკოვი). დღეს ბუქარესტში ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუმინეთისა და საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს რუმინეთის ვაჭრობისა და ტურიზმის მინისტრმა კონსტანტინე ფოტამ და საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა ომარ ვარძელაშვილმა, რომელიც აქ სამდღიანი ვიზიტით ჩამოვიდა. ოფიციალური ცერემონიის შემდეგ მან გამართული მოლაპარაკებით კმაყოფილება გამოთქვა და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეს პირველი ასეთი დოკუმენტია, რომელსაც საქართველომ ხელი მოაწერა უცხოეთის სახელმწიფოსთან.

ო. ვარძელაშვილი დღეს მიიღო რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა თეოდორე სტოლოჯანმა.

დავუბრუნოთ თბილისს მისი იერ-სახე, დავუბრუნოთ სითბო თბილისელთა სულებს

უჭირს ახლა საქართველოს დედაქალაქს. ამ ცოტა ხნის წინათ მომხდარმა პოლიტიკურმა ქარიშხალმა იავარყო არა მარტო ქუჩები და პროსპექტები, არამედ მნიშვნელოვნად დააზიანა თბილისელთა სულები, დიდი გულისტკივილი გამოიწვია ყოველ ოჯახში. შველას ითხოვს სისხლისაგან დაცლილი, სასოწარკვეთილი და დაბნეული რუსთაველის პროსპექტი. ქალაქის მშვენება და სიამაყე, დღეს თვალებდათხრილი ფანჯრებით შემოგვყურებს. ამბობენ, რომ როცა იგი ჩვენმა ერთგულმა მეგობარმა ჰერმან ვედეკინდმა იხილა, გულის აბი მოითხოვაო...

მშობლიური ქალაქისა და მისი ბედის, საქართველოს დედაქალაქისადმი სწორედ ასეთმა გულისტკივილმა შეკრიბა ერთად რესპუბლიკის ხელმძღვანელები და ქალაქის მესვეურნი. ამ შეხვედრაზე, რომელიც 26 მარტს გაიმართა თბილისის მერიაში, მოვიდნენ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ედუარდ შევარდნაძე**, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **თენგიზ სიგუა**, მათთან ერთად იყვნენ მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

ინფორმაცია თბილისში საქმის ვითარების შესახებ გააკეთეს თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ოთარ ლითანიშვილმა, ქალაქის ათივე რაიონული რგოლის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, აგრეთვე საქალაქო მეურნეობის მთავარი სამსახურების ხელმძღვანელებმა. ეს ინფორმაცია განაზოგადა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა თენგიზ სიგუამ.

ქალაქში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის გაჯანსაღების, მისი იერ-სახის, საქალაქო მეურნეობის ყველა სამსახურის მუშაობის გაუმჯობესების, პრივატიზაციის პროცესის განხორციელების, საწარმოების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კულტურის დაწესებულებების საქმიანობის განახლებისათვის გამიზნული უმნიშვნელოვანესი საკითხები დააყენა თავის გამოსვლაში საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ.

გააანალიზეს რა დღეისათვის თბილისისა და თბილისელთათვის საჭირბოროტო პრობლემათა სპექტრი, ორატორები აღნიშნავდნენ რესპუბლიკის დედაქალაქის განსაკუთრებულ როლსა და ადგილს მისი ისტორიის ამ უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდში, ითქვა, რომ უახლოეს მომავალში თბილისი, როგორც ჩანს, გახდება ევრაზიის ცენტრი და ამის სიმპტომები უკვე ნათლად ვლინდება როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, რაც უკვე ოფიციალურად გამოაცხადა ათობით ქვეყანამ, თბილისი მზად უნდა იყოს მიიღოს მრავალი სტუმარი სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც გადაწყვეტენ აქ თავიანთი საელჩოებისა და წარმომადგენლობების გახსნას. და ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ჩვენმა ქალაქმა გულთბილად უმასპინძლოს ყველას, ვინც სიკეთით მოვა ჩვენს მიწაზე, ვისთანაც ურთიერთობა საქართველოს აღორძინებასა და პროგრესს მოუტანს.

ამჟამად ქალაქის წინაშე მდგომი მთავარი და უპირველესი ამოცანაა ვითარების სტაბილიზაცია, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცება ყველგან და ყველაფერში, ითქვა შეხვედრაზე. ამავე დროს, აღინიშნა, რომ კვლავ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ცალკეული ექსცესები, ისეთი, როგორიც მოხდა ჭადრაკის სასახლის წინ, სადაც მუშაობდა საქართველოს მწერალთა ყრილობა. შემაშფოთებელია აგრეთვე ისიც, რომ ადამიანები ჯერ კიდევ გათიშულნი არიან. ეს აღაშფოთებს საზოგადოებრიობას, აღელვებს ყველას, ვისაც გული შესტკივა თბილისისათვის. ქალაქში წესრიგის დასამყარებლად უკანასკნელ ხანს ბევრს აკეთებს მილიცია, მაგრამ მას ესაჭიროება თბილისელთა თანადგომა. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება ავლაგმოთ თავგასული ხულიგნები. გზა გადავუღობოთ დესტრუქციულ ძალებს, რომლებიც გაუკითხავად დათარეშობენ, კიდევ უფრო ართულებენ ქალაქელთა ისედაც რთულ ცხოვრებას.

სტაბილურობა საჭიროა კიდევ იმიტომ, რომ დროულად გავუწიოთ დახმარება ტრაგიკული მოვლენების დროს დაზარალებულ ოჯახებს. უკვე წლის დამლევისათვის დაგეგმილია ახალი ბინები გადავცეთ ყველას, ვინც უსახლკაროდ დარჩა. დავეხმაროთ მათ ოჯახების მოწყობაში. არანაკლებ მძიმეა იმათი მდგომარეობა, ვინც წლობით ელის ბინებს. სახსრების, ნედლეულისა და მასალების უქონლობის გამო ქალაქში პრაქტიკულად გაყინულია საბინაო მშენებლობა. შეჩერებულია კოოპერატიული ბინების მშენებლობაც, რომელიც საშენი მასალების ფასების გადიდების გამო ოცჯერ-ოცდაათჯერ გაძვირდა. ქალაქი გადაუჭრელი დილემის წინაშე აღმოჩნდა. ერთი მხრივ, მიმდინარეობს ბინების პრივატიზაცია და თბილისელებს უფასოდ გადაეცემათ ისინი, მეორე მხრივ, კოოპერატიული ბინები ადამიანებს ასიათასობით მანეთი უჯდებათ. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა წინადადება, რომ, როგორც ჩანს, უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება იმ მოქალაქეთათვის ბანკების გრძელვადიანი კრედიტების — 50 წლამდე — გამოყოფის შესახებ, ვინც კოოპერატიულ ბინებს იძენენ.

გაზის, წყლის, სათბობის ფასების შეუკავებელი ზრდა სერიოზულ პრობლემებს უქმნის არა მარტო სამრეწველო საწარმოების, დაწესებულებების, ტრანსპორტის მუშაობას, არამედ მოსახლეობის კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურებასაც. ყოველთვის ვერ ხერხდება ნაგვის გატანაც კი, რაც სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების უშუალო საფრთხეა. ელექტროენერგიისა და ბენზინის უმწვავესმა დეფიციტმა დაარღვია საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობის რიტმი, თუმცა, ახლა ვითარება რამდენადმე გაუმჯობესდა.

დამაიმედებლად გაისმა შეხვედრაზე განცხადება იმის თაობაზე, რომ აპრილის პირველი რიცხვებიდან მეტროპოლიტენი, ბოლოს და ბოლოს, თავისი ჩვეულებრივი გრაფიკით ამუშავდება.

არანაკლებ რთული პრობლემები დგას ვაჭრობის წინაშე. დეფიციტის ტოტალურმა ზრდამ დააცარიელა ისედაც სანახევროდ ცარიელი მაღაზიები. და ამიტომ, სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს ვაჭრობის ობიექტების პრივატიზაცია, მაგრამ იმ პირობით, რომ უნდა სულ ცოტა ორი წლის განმავლობაში მაინც არ შეეცვალოთ პროფილი.

ორატორებმა გულისტკივილით ილაპარაკეს ქალაქში ჩამკვდარ კულტურულ ცხოვრებაზე. აღინიშნა, რომ უთუოდ უნდა დავუჭიროთ მხარი იმას, რომ ქალაქში კულტურული ცხოვრება ბოლო დღეებში იმედის მომცემად გამოცოცხლდა. ახლავე უნდა დავიწყოთ მზადება 1993 წლის შემოდგომისათვის დაგეგმილი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალისათვის, რომელშიც მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ინგლისმა, იტალიამ, საფრანგეთმა, ავსტრიამ, იაპონიამ და სხვა ქვეყნებმა.

შეხვედრაზე საფუძვლიანი სჯა-ბაასი გაიმართა იმაზე, თუ რამდენ მნიშვნელოვანია მერიის სტრუქტურათა გარდაქმნა. გამოითქვა წინადადება, რომ უნდა შეიქმნას მისი მართვის საბჭო, რომელშიც შევლენ მეცნიერები და სპეციალისტი-ეკონომისტები, ფსიქოლოგები, იურისტები და სხვები, რათა, მოწინავე ქვეყნების დედაქალაქების მერიათა მუშაობის გამოცდილების შესწავლით დავნერგოთ ეს გამოცდილება თბილისის მერიის საქმიანობის პრაქტიკაში. მრავალი კონსტრუქციული წინადადება შეეხო აგრეთვე მერიის რაიონული ორგანოების დიდი ეფექტიანობის, მობილურობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, გამოითქვა წინადადება ქალაქის რაიონების რაოდენობის ერთიორად შემცირების შესახებ. ამასთან ხაზი გაესვა ადგილობრივი მართვის ორგანოთა როლისა და ავტორიტეტის ამაღლების აუცილებლობას მათთვის ავტონომიური საქმიანობის უფლების მინიჭების გზით. ისინი უნდა გადაიქცნენ ისეთ ორგანოებად, რომლებიც შეძლებენ უზრუნველყონ უშუალო კავშირურთიერთობა მოსახლეობასთან, იცხოვრონ მისი ინტერესებითა და მისი საზრუნავით.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ თბილისს შეუძლია და კიდეც უნდა გახდეს საქართველოს ეტალონი, მისი სავიზიტო ბარათი და ყოველმა თბილისელმა, ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქალაქისა და რესპუბლიკის ბედი, ძალ-ღონე და ენერგია არ უნდა დაიშუროს ამ პატრიოტული საქმისათვის.

გალინა ჩიქოვანი,
ედუარდ ედიბერიძე.

●

სურათებზე: საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს დროებითი მთავრობის მეთაური თენგიზ სიგუა თბილისის მერიაში ქალაქის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დროს.

ბონდო დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებითი შტაბის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ ძირეული ეკონომიკური რეფორმის განხორციელების აუცილებლობა მოითხოვს სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის ფართო ფენების ძალისხმევათა კოორდინაციას.

რესპუბლიკაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი სტრატეგიული კურსის ჩამოყალიბების, ეკონომიკური რეფორმის თანამიმდევრობის უზრუნველყოფისა და კრიზისული მდგომარეობის დაძლევის გადაუდებელ ღონისძიებათა შეთანხმებულად განხორციელების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებითი შტაბი შემდეგი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით:

— საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო;
— საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო;
— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი;
— საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტი;
— საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი;
— საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო.

2. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა, კომიტეტებმა, დეპარტამენტებმა და უწყებებმა ეკონომიკური რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი შემოიტანონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში განსახილველად, როგორც წესი, მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებით შტაბში განხილვის შემდეგ.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიამ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე შეტანილ იმ საკითხებზე მსჯელობისას, რომლებიც შეეხება ეკონომიკურ რეფორმას, უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებითი შტაბის შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა.

4. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებითი შტაბის კომპეტენციის, ფუნქციების, საქმიანობის რეგლამენტისა და შესაბამისი მაკოორდინირებელი ჯგუფის სტრუქტურის შესახებ.

5. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებით შტაბთან შეიქმნას სათათბირო, რომელშიც შევლენ მეცნიერები, სპეციალისტები, კერძო და სახელმწიფო სექტორის სამეურნეო მუშაკები. საზოგადოებრიობისა და პროფკავშირების წარმომადგენლები. დამტკიცდეს სათათბიროს პერსონალური შემადგენლობა.

6. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებითი შტაბის საქმიანობის კოორდინაცია დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ბატონ რომან გოცირიძეს.

7. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ, უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის კათედრებმა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმის დროებით შტაბს თავის საქმიანობაში, უზრუნველყონ საჭიროებისამებრ და მისი მითითებით მეცნიერული კვლევების ორგანიზაცია და შესრულება შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების თემატურ და სხვა გეგმებში ცვლილებათა შეტანის ჩათვლით.

8. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა.**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე.**

თბილისი, 1992 წლის 26 მარტი.

მთავარი საზრუნავი სამშობლოს კეთილდღეობაა

25 მარტს ბათუმში ჩამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი **თენგიზ კიტოვანი** და შინაგან საქმეთა მინისტრი **რომან გვენცაძე**.

— ჩვენი ჩამოსვლის მიზანია დავათვალიეროთ საქართველოს საზღვრები. — თქვა ბატონმა თ. კიტოვანმა, — მსურს ვაცნობო აჭარის მოსახლეობას, ხმები, თითქოს აქ სურდა შემოსვლა გვარდიას, ან ის, რომ ჩამოვიდნენ ჩეჩნები და იარაღი დაარიგესო, სიცრუეა. ჯოხარ დუდაევმა უმჯობესია თავის ქვეყანას მოუაროს, ყველამ ჩვენ კი საქართველოს. იმედი მაქვს, რომ ჩვენი დღევანდელი შეხვედრა გააქარწყლებს ამ და სხვა ჭორებს. ახლა ჩვენ ყველამ უნდა მოვკიდოთ ხელი საქმეს საქართველოს საკეთილდღეოდ.

აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ თქვა:

— დღეს ვესაუბრე საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილეს ოთარ ქვილითაიას, და დავთქვით, რომ აჭარა მიაწვდის ფქვილსა და ხორბალს საქართველოს სხვა რეგიონებს. ჩვენ გვაქვს ამის გზები და შესაძლებლობანი. ვინ არ შეგცდარა, ან ვინ არის გარანტირებული, რომ მომავალში არ შეცდება? მაგრამ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მთავარზე — ყველაფერი ვიღონოთ საქართველოს კეთილდღეობისთვის.

თამაზ ბენძეხაძე.
ბათუმი.

ახალი ამბები

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“
და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი

მართალი იყო და გამართლდა

ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში დაწყებული სასამართლო პროცესი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გიორგი ჭანტურიას წინააღმდეგ აღძრული საქმის გამო, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, როგორც იქნა, დასრულდა. დასრულდა იგი ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო იმ ქვეყანაში, სადაც პატივს სცემენ კანონს და მას უზნეობით არ შეურაცხყოფენ. 26 მარტის სხდომაზე სასამართლომ, მოსამართლე დარეჯან გოგიბერიძის თავმჯდომარეობით უარყო ცრუ მოწმეებისა და დაინტერესებული პირების ჩვენებების მიხედვით შეთითხნილი ბრალდება და განსასჯელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა, როგორც უდანაშაულო.

როგორც იტყვიან, სამართალმა პური ჭამა, თუმცა ეს პროცესი ქართული სამართლის ისტორიაში, ალბათ, დიდხანს დარჩება როგორც ერთი სამარცხვინო ფურცელი, ხოლო სამართალდამცველთათვის გასათვალისწინებელი, სამწუხარო გაკვეთილი სამომავლოდ მაინც, როცა მგზავრებით სავსე თვითმფრინავს შუა გზიდან დააბრუნებენ უმაღლესი ხელისუფლის საამებლად და ათეულობით ადამიანის სიცოცხლის საფრთხეს კვლავაც არაფრად ჩააგდებენ.

მწერალთა ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

როგორც ვიუწყებოდით, 25 მარტს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს მწერალთა მეთერთმეტე ყრილობა.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოსტზე ყრილობის მონაწილეებმა ერთხმად აირჩიეს **გურამ ფანჯიკიძე**, მოადგილედ — **რეზო ჭეიშვილი**.

აირჩიეს აგრეთვე გამგეობა და სარევიზიო კომისია.

საფიხვნო

საქართველოს ბედი თითოეული ჩვენგანის ბედია

დღეს უამრავი კითხვა მოითხოვს პასუხს, რადგან „ასჯერ გაზომე“ პრინციპი ახლა რომ გვჭირდება, ისე ალბათ არასოდეს, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ბედთან ერთად თითოეული ჩვენგანის, ჩვენი შვილების ბედია სასწორზე შეგდებული. ჩვენი საფიხვნოს სტუმრები არიან პოლიტოლოგები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომლები, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი გურამ მამულია, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ყორანაშვილი, ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი არჩილ კოხრეიძე, ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ცენტრის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოსო ცინცაძე, ამავე ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი თემურ ქარელი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი თემურ მირიანაშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, საქართველოს იურისტთა კავშირის სწავლული მდივანი ალბერტ აბესაძე.

ეს შეკრება სახელმწიფო საბჭოს შექმნამდე ჩატარდა.

— როგორ აფასებთ დღევანდელობას, რა აზრისა ხართ მომავალ არჩევნებზე, ყოფილი პრეზიდენტის მოღვაწეობაზე?

სოსო ცინცაძე: საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი ღვთის საჩუქარი არ არის, მაგრამ უიმისობაც რომ ჭირჭერობით არ შეიძლება, ესეც მწარე სინამდვილეა, ფაქტია, რომ რაც უფრო დიდხანს გასტანს დღევანდელი ვითარება, მით უფრო გაჭიანურდება ნორმალური დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა-დამკვიდრება.

ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში ლონდონის „თაიმსმა“ რუს დემოკრატებს ბრალი დასდო იმაში, რომ „სოლიდარობის“ მსგავსი პოლიტიკური ორგანიზაცია ვერ შექმნეს, რომელიც პროგრესულ რეფორმებს განახორციელებდა ქვეყანაში. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს სინამდვილეზეც. კიდევ ერთი მომენტი — პარტიათა სიუხვე ჯერ კიდევ არ ნიშნავს დემოკრატიას, არის სიტუაცია, რომელსაც ინგლისელები მრავალპარტიულ დემოკრატიაზე „რუდიმენტულ წარმოდგენას“ უწოდებენ.

ჩვენში შექმნილ ვითარებას კიდევ უფრო მეტ დრამატიზმს მატებს „ქართული მომენტი“. ქვეყანაში ჯერ კიდევ არიან ყოფილი პრეზიდენტის მომხრენი და მათთან, სამწუხაროდ, დღემდე ვერ გამოინახა სადისკუსიო ენა. ეს რეალური ძალაა, რომლის არაფრად ჩაგდება არ შეიძლება, არ უნდა ვაქციოთ იგი ქვეყნის პერმანენტულ მადესტაბილიზებელ ფაქტორად. აქ, რასაკვირველია, თავის ნეგატიურ როლს ასრულებს სოციალური მომენტიც. ვისაც არ სურს, იმას ვერც დააჯერებ, რომ ამჟამინდელ მძიმე სიტუაციას ვერც ერთი მთავრობა ვერ გაექცეოდა. ყოველივე ამას ზედ ერთვის სამოქალაქო ხელისუფლების თავისებური ინფანტილიზმი, რაც ბუნებრივია ასეთ სიტუაციაში, თუმცა არც იმის ილუზია მაქვს, რომ გაუქმდება თუ არა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი, ავტომატურად „ამუშავდება“ ყველა კანონი.

აღარ ყოფილა ჩვენი საშველიო, შეიძლება იფიქროს ვინმემ. არა, არც ასეა საქმე. ჩვენ გვექნება გარკვეული შანსი (მხოლოდ შანსი და არა გარანტია) პარლამენტის არჩევნების სახით. ძალზე ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს ორ წელიწადში მეორე არჩევნების უფლება და ამიტომ ზერელედ ვერ მოეკიდება მას. მესამე შანსს განგება უკვე აღარ მოგვცემს...

გურამ მამულია: სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტის უვარგისობის მიზეზი „მრგვალი მაგიდის“ დეპუტატთა უპასუხისმგებლობა იყო. პარლამენტში ბატონობდა არა კონსტრუქციული თანამშრომლობის, არამედ მორალური ტერორის ატმოსფერო. ჩვენში ტრაგედია პარლამენტის მიზეზით დატრიალდა, რადგან, მან გზა გაუხსნა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ანტიკონსტიტუციურ მოქმედებას. როდესაც პარლამენტი თავად ხდება არასამართლებრივი ქმედების საშუალება, ისეთი მნიშვნელოვანი აქტიც კი, როგორიც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტია, პოპულისტური დემაგოგიის ელფერს იძენს.

თემურ ქარელი: აქ ითქვა, რომ მომავალი პარლამენტის არჩევნების სახით ქართველ ხალხს გარკვეული შანსი ეძლევა. ამ აზრს სავსებით ვეთანხმები. თუმცა მარტო ამის ცოდნა არაფერს გვარგებს. წინასაარჩევნო კამპანიის ცივილიზებულად წარმართვისთვის აუცილებელია ვიცოდეთ საქართველოს პოლიტიკური პარტიების მასობრივი ბაზის ევოლუციის ტენდენციები, ამისთვის კი ჩვენ არა გვაქვს სრულყოფილი ელექტორალური სტატისტიკა, რომ მისი მეშვეობით ვიმსჯელოთ ამომრჩეველთა განწყობილების დინამიკაზე. უფრო მეტიც, არა გვაქვს სათანადო კატეგორიარული აპარატიც ანალიტიკური პოტენციალის, თუნდაც მინიმალური დონის მისაღწევად. მაგალითად, ელექტორატის პოლიტიკური არჩევნის მოტივაციური ბუნების ამოცნობა ჩვენთვის დღემდე მიუღწეველი რჩება.

გამსახურდიას რეჟიმის კრახმა უნდა გამოიწვიოს ელექტორატის გადაჯგუფება და პოლიტიკური ელიტის შეცვლა, რასაც მოჰყვება ჯერ არსებული ელიტის დეზორგანიზაცია, ხოლო შემდეგ ახალი კოალიციის შექმნა, რომლის პროგრამაც ძირეულად დაუპირისპირდება „მრგვალთა“ იდეებს. ასევე უნდა ვიფიქროთ, რომ მასების პოლიტიკურ განწყობილებაში, სოციალ-ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, წარმოიშობა თავისებური „ახალი სინთეზი“, რომელშიც ერთდროულად იქნება წარმოდგენილი ლიბერალური და კონსერვატიული შეხედულებები.

— რა პრინციპით უნდა მოეწყოს არჩევნები, როგორია ახალი საარჩევნო კანონის პროექტი?

სოსო ცინცაძე: ჯერ იმის თაობაზე, თუ როდის უნდა გაიმართოს ეს კამპანია? ერთი ვერ გამიგია: რატომ გვგონია, თითქოს თუ შედარებით მალე მოვაწყობთ არჩევნებს, აუცილებლად ცუდ პარლამენტს მივიღებთ, შემოდგომაზე კი გარანტირებული გვექნება კარგი პარლამენტი. განა ცოტა ხანს ვემზადეთ 1990 წლის არჩევნებისთვის? ერთი, დანიშნული არჩევნებიც კი გავაუქმეთ. ასე რომ, ნუ გავაბსოლუტებთ დროის ფაქტორს. უფრო მთავარია მისი სწორი ორგანიზაცია.

ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ დღეს ძალიან ახლოს ვართ 1990 წლის ფატალურ შეცდომასთან — ახალი ვარიაციით სიებით არჩევნები მაქვს მხედველობაში, რამაც „პარავოზის“ ფენომენი შვა. თამამად ვიტყვი — არსად და არასდროს ერისთვის ამდენ სრულიად უცნობ ადამიანს არ მოუყრია თავი პარლამენტში. გაიხსენონ ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებმა, თუ რამდენ „მრგვალ“ პარლამენტარს იცნობდნენ გვარით არჩევნებამდე. „სიების“ წყალობით ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ელექტორატს მისი რჩეულის ვინაობაც კი არ აინტერესებდა, თორემ ჭკუასა და პროფესიონალიზმს ვინღა ჩივის. ამიტომაც არ გაკვირვებიათ იგივე მოლოდინაშვილის ამომრჩევლებს, როდესაც თავიანთი დეპუტატი, ერთი ხელმოცარული ვეტერინარი, საკანონმდებლო კომისიის თავმჯდომარედ იხილეს. ვინ მისცემს ქართველ ხალხს იმის გარანტიას, რომ ასეთი რამ არ განმეორდება?! განა დეპუტატის სტატუსს (უფრო ზუსტად — პრივილეგიებს) მოწყურებულნი დღეს აღარ არიან? არც ხმების გაჩუქება-გადანაწილებაა ჯერ კიდევ საბოლოოდ გამორიცხული, როდესაც ამომრჩევლები ერთს აძლევენ ხმას, ხოლო ეს უკანასკნელი „ზედმეტ“ ხმებს პარტიისათვის სასურველ, ფაქტობრივად კი დამარცხებულ კანდიდატს „სჩუქნის“. ამ შემთხვევაში აბსურდულია მსოფლიო პრაქტიკის მოშველიება და ანალოგიები. ის, რაც ნორმალურია მაღალი პოლიტიკური კულტურის, მრავალპარტიული არჩევნების მდიდარი ტრადიციის მქონე ქვეყნისთვის, შეიძლება ჩვენთვის დამღუპველი აღმოჩნდეს. ათეული წლები ხვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფიხვნო

საქართველოს ბედი თითოეული ჩვენგანის ბედია

(დასასრული)

რდებოდა იქ ყოველი ნიუანსისა და სიახლის დამკვიდრებას, საქართველოში კი რა ხდება?! არასპეციალისტ ენთუზიასტთა ჯგუფი ასე თუ ისე გაეცნობა უცხოეთის საარჩევნო კანონთა კრებულებს და შემდეგ „ეროვნული" მომენტებით შეზავებულ „კოქტეილს" გვთავაზობს. ველირსებით კი იმ დროს, რომ კანონებს მხოლოდ იურისტები დაწერენ?

ბოლოს და ბოლოს, როგორი პარლამენტი სჭირდება ჩვენს ქვეყანას — პიროვნებებისა, თუ ფაციფუციით, ძირითადად არჩევნებში მონაწილეობისათვის შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაციების ლიდერთა პარლამენტი? ამას წინათ მაჟორიტარული სისტემის ერთმა თავგადადებულმა მოწინააღმდეგემ მითხრა, თუ მასეა, მაგალითად, ბუბა კიკაბიძეს გარანტირებული ექნება დეპუტატობაო. ჯერ ერთი, არა მსმენია, რომ იგივე ბუბა კიკაბიძეს დეპუტატობა მოეწადინებინოს. მეორეც, ასეც რომ იყოს, საეჭვო კვალიფიკაციის ვეტერინარს რით არ სჯობია კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანი დეპუტატი? დარწმუნებული ვარ, თავდაცვის კომისიის თავმჯდომარეობას მაინც არ მოითხოვს. და ბოლოს, განა რამდენია დღეს საქართველოში ბუბა კიკაბიძის პოპულარობის მქონე „არაპროფესიონალი", რომელნიც, მაჟორიტარული სისტემის მოწინააღმდეგეთა აზრით, პარლამენტის ბალასტად იქცევიან? სამაგიეროდ ესენი პიროვნებანი არიან, რომელნიც ობრაზცოვის თოჯინებივით სხვისი ნებით არ აიქნევენ ხელს.

ერთი სიტყვით, მიჭირს იმის თქმა, თუ რა როგორ უნდა მოეწყოს. მეტიც, გარკვეული ეჭვით ვუყურებდი მათაც, ვისაც ჯიბე სავსე აქვს მზა რეცეპტებით.

თემურ ქარელი: თუ განსახილველად გამოქვეყნებული დებულების პროექტით ვიმსჯელებთ, ქართველ ექსპერტთა მზერა, როგორც ჩანს, ტრადიციული დასავლური დემოკრატიისკენ არის მიმართული. რა თქმა უნდა, დასავლეთის გამოცდილება მნიშვნელოვანიცაა და საგულისხმოც, მაგრამ როცა სხვის გამოცდილებას ვსწავლობთ, უნდა ვეცადოთ მათი შეცდომებიც არ გავიმეოროთ. დემოკრატიულმა წყობამ მრავალ სიკეთესთან ერთად უნდა მოგვიგვაროს ის პრობლემა, რომელიც გვაწუხებდა და გვაწუხებს. მე მხედველობაში მაქვს ჩვენი ერთხმოვანების, შეთანხმების, ერთსულოვანი მოქმედების მიღწევა. სულკურთხეული ილიაც ხომ ამას ელტვოდა, ამიტომ ადარებდა იგი „ერთპირ ერს" ამაღლებულ, ძლიერ გმირს. ცხადია, იდეალია ისეთი კომპრომისის მიღწევა, რომელიც ხელს აძლევს საზოგადოების ყველა წევრს, ხოლო იძულებას ზედმეტობად ხდის.

გამოქვეყნებული დებულების პროექტის საფუძველია ალტერნატიული კენჭისყრა. თუმცა ეს წინგადადგმულ ნაბიჯად აღიქმება, მაგრამ ახლო წარსულის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მასაც აქვს ისეთი ნაკლოვანი მხარეები, რომელთა გათვალისწინება უთუოდ გვმართებს. მოგეხსენებათ, რომ საზოგადოებრივ აზრს ყოველთვის აქვს რაღაც „ცენტრი", რომელიც ნებისმიერი საზოგადოების განვითარებასთან ერთად პროგრესის მიმართულებით გადაინაცვლებს. დემოკრატიული წყობის ამოცანაა გამოავლინოს ეს „ცენტრი" ყოველგვარ საკითხზე — სახელმწიფოს თავკაცის არჩევნები იქნება ეს, თუ გარემოს დაცვის პრობლემები. ამ ამოცანის გადაწყვეტას კი ხელს არ უწყობს ეგრეთ წოდებული უმრავლესობის წესი და ის ორპარტიული სისტემა, რომელიც დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში მოქმედებს. უფრო მეტიც, ექსპერტთა მტკიცებით, სრულიად საპირისპირო პროცესი ვითარდება — ხდება საზოგადოების დაყოფა ორ დაპირისპირებულ ბანაკად, ამასთან, მათ შიგნით მოქმედი ტენდენცია გაერთიანებისკენ წარიმართება სწორედ ერთმანეთისადმი დაპირისპირების პლატფორმაზე. თვით იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მრავალპარტიულ არჩევნებს დიდი ხნის ისტორია აქვს, წინასაპარლამენტო ბრძოლების დროს პარტიები ბლოკებად ერთიანდებიან და საზოგადოება ორად იხლიჩება — დემოკრატებად და რესპუბლიკელებად; მემარცხენეებად და მემარჯვენეებად. ყველა ამ შემთხვევაში არჩევანი ორ ალტერნატივამდე დადის და ექსპერტთა აზრითაც დასავლეთის დემოკრატიის ყველაზე არსებითი ნაკლი სწორედ ის არის, რომ ამომრჩეველი კენჭისყრისას აუცილებლად მხოლოდ „მომხრეა" ან მხოლოდ „მოწინააღმდეგე". აქედან: „ვინც ჩემთან არ არის — ის ჩემი მოწინააღმდეგეა!", „ზავი და ომი" და ასე შემდეგ.

არჩევნების როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული სისტემა ზემოაღნიშნულ ნაკლს ემყარება, რის გამოც დასავლელი პოლიტოლოგებიც და ჟურნალისტებიც სულ უფრო ხშირად მიუთითებენ დემოკრატიული ინსტიტუტების კრიზისზე. ისეთი მოდელის მონახვის საჭიროებაზე, რომელიც არ იწვევს განხეთქილებას. ასეთ სისტემაზე დღეს უკვე თამამად ლაპარაკობენ, იგი ეფუძნება საერთო თანხმობის პრინციპს და კონსენსუსი ეწოდება.

კონსენსუსის გამოყენება საარჩევნო სისტემის ან გადაწყვეტილების მიღების პროცესში სავსებით შესაძლებელია. მართალია, ამ შემთხვევაში შედეგების შეჯამება უფრო რთულია, ვიდრე მაჟორიტარული სისტემის დროს, მაგრამ კომპიუტერების გამოყენებით ეს პრობლემაც იხსნება. ამასთან, მთავარია, რომ ამგვარი სისტემა საზოგადოების განვითარების ბუნებრივი შედეგია. კონსენსუსის არითმეტიკაზე აქ არაფერს ვიტყვი, არსზე კი მოგახსენებთ, რომ ამ სისტემით სხვადასხვა აზრის ფართო სპექტრიდან გამოიყოფა „საშუალო", ესე იგი ისეთი, რომელსაც საუკეთესო შემთხვევაში ყველა დაეთანხმება, ხოლო უარესის დროს კი ამ აზრის წინააღმდეგი არავინ იქნებოდა. ამასთან, ყველას შეუძლია დარჩეს ისეთად, როგორიც არის, თან კონსენსუსი ყველას აძლევს შანსს ზეგავლენა იქონიოს პოლიტიკურ ვითარებაზე, მაგრამ არავის უქმნის ვინმეზე ზემოქმედების შესაძლებლობას. ამრიგად, დემოკრატიულ პროცესში თითოეული მოქალაქის მონაწილეობის საწინდარი იქნება მასში საზოგადოების ყველა სხვა წევრის მონაწილეობის უფლების აღიარება. მისი მეშვეობით იქნებ ჩვენც მოგვეხსნას ის დილემა, რომელიც ბრძენმა სოკრატემ ასე ჩამოაყალიბა თანამოქალაქეთა წინაშე: „ავირჩიოთ პროფესიონალი თუ რომელიმე ჩვენგანი?".

ალბერტ აბესაძე: ჩემი აზრით, წარმოდგენილი კანონპროექტის ხარვეზი ის არის, რომ მასში მთელი ყურადღება გადატანილია არჩევნების ორგანიზაციულ მხარეზე და დავიწყებულია ამომრჩეველი, რომლის ნებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა აირჩეს პარლამენტი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ არჩევნებში მოქალაქის მონაწილეობის უფლება შეცვლილია არჩევნებში პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით, რაც სხვადასხვა შინაარსის ცნებებია. კანონპროექტი დეპუტატობის კანდიდატების დასახელების უფლებას ანიჭებს არა მარტო რეგისტრირებულ, არამედ ლეგალიზებულ პარტიებსაც, და ამასთანავე ხალხის ინტერესების გამომხატველ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უკრძალავს ამას. ჩვენი აზრით, ასეთი დამოკიდებულება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი საბოლოო ანგარიშში უარყოფით გავლენას მოახდენს პარლამენტის მუშაობის ხარისხზე. თუ იმასაც დავსძენთ, რომ არც საარჩევნო ოლქისა და არც რესპუბლიკურ დონეზე დეპუტატობის კანდიდატის ასარჩევად მნიშვნელობა არა აქვს ამომრჩეველთა საკმარის ხმათა რაოდენობის დაწესებას, ანუ საარჩევნო კვოტას, მომავალში მდგომარეობა შეიძლება კიდევ უფრო დაიძაბოს.

არჩევნების ორგანიზაციული საქმიანობის წარმართვისას კანონპროექტში ერთმანეთისაგან გამიჯნული არ არის საქართველოს მმართველობის ცენტრალური სტრუქტურებისა და მის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების უფლებამოსილებანი.

შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება საქართველოს პარლამენტის არჩევნების მთელი ორგანიზაციული საქმიანობის წარმართვა ადგილებზე მიენდოთ ავტონომიურ რესპუბლიკებს. ეს, ერთი მხრივ, გაზრდის მათ პასუხისმგებლობას, და მეორე მხრივ, გაუადვილებს ადგილობრივ მოსახლეობას თავისი დეპუტატების საქმიანობის კონტროლს. კანონპროექტმა არ შეიძლება გვერდი აუაროს აგრეთვე რეგიონებისა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების არჩევნების მექანიზმის შემუშავებას, რაც პარლამენტის წინა არჩევნებში დაივიწყეს.

არ ჩანს აგრეთვე არჩევნების მომწყობი პოლიტიკური და სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის ზუსტი მექანიზმი, რომელიც რეალურად გამოავლენს არჩევნების შედეგებს და დაიცავს ამომრჩევლის უფლებებს.

სრულფასოვანი პარლამენტის არჩევა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული არა მარტო მასში მონაწილე პოლიტიკური პარტიების აქტიურობაზე, არამედ ამ პარტიათა და სხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა სოციალური ბაზის განწყობილებაზე, სადაც გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებმა. პარლამენტის არჩევნების ორგანიზაციული საქმიანობისგან მათი გარიყვის ცდა საბოლოო ანგარიშში სასურველი არ იქნება არა მარტო პარლამენტის, არამედ თვით ამ პოლიტიკური პარტიებისთვისაც.

კანონის ტექსტში მოსახლეობისთვის ნათლად და გასაგებად უნდა იყოს განსაზღვრული პარლამენტის ახალი არჩევნების წესი, რათა ამომრჩეველმა სწორი არჩევანის გაკეთება შეძლოს.

აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით სადღეისოდ დროულად უნდა გამოქვეყნდეს დებულების ჩასწორებული ტექსტი. უნდა განისაზღვროს აგრეთვე პარლამენტის არჩევნების ზუსტი თარიღი და მთელ რესპუბლიკაში დაიწყოს ამ უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტის კვალიფიციური პროპაგანდა.

გურამ ყორანაშვილი: როგორც 1990 წელს, ისე ახლაც ვფიქრობ, რომ უფრო მიზანშეწონილია არჩევნების მაჟორიტარული სისტემით მოწყობა. ნუ გვაქვს ილუზია, თითქოს ჩვენში მრავალპარტიული სისტემა უკვე დამკვიდრებული იყოს. სინამდვილეში არსებობს პოლიტიკური გაერთიანებანი, რომლებიც დიდად არ ჰგვანან პარტიას. საჭიროა კიდევ გარკვეული პერიოდი იმისთვის, რომ მათგან თანდათანობით ჩამოყალიბდეს ხალხში გავლენიანი, სათანადო ინტელექტუალური პოტენციალის მქონე რამდენიმე სრულფასოვანი პოლიტიკური პარტია. თანაც, თუ ისტორიას გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ 1919 წელს პარტიული სიებით გამართულ დამფუძნებელი კრების არჩევნებში ქართველმა ხალხმა დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც 130 დეპუტატის ადგილიდან 105 სოციალ-დემოკრატებს არგუნა, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტებს და ეროვნულ-დემოკრატებს — მხოლოდ რვა-რვა. პიროვნებათა მიხედვით არჩევნებისას კი ძალთა თანაფარდობა ამ პარტიებს შორის სხვაგვარი იქნებოდა, რაც ძლიერ წაადგებოდა საქართველოს საერთო საქმეს. თუ ასე დაგვემართა მაშინ, სად არის გარანტია, რომ უარესი არ გამეორდება ამჟამინდელ არჩევნებში. თანაც, რაღა შორეულ წარსულზე ვლაპარაკობთ, განა ამ მხრივ არ გამოგვადგება 1990 წლის არჩევნების შედეგები?

ასე რომ, ჩემი აზრით, უკეთესი იქნება არჩევნები მოეწყოს მაჟორიტარული წესით და ამომრჩეველთა წინაშე უშუალოდ პიროვნებები წარსდგნენ თავიანთი ღირსება-ნაკლოვანებებით. როცა საარჩევნო სისტემების უპირატესობაზე თუ ნაკლზე ვლაპარაკობთ, რატომ არ ვიყენებთ სოციოლოგიურ გამოკითხვას?! 1990 წლის ზაფხულში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ცენტრმა მოაწყო გამოკითხვა, რომელიც რესპუბლიკის 15 რეგიონის (ქალაქისა და სოფლის) 1500 რესპოდენტს მოიცავდა. უშუალოდ პიროვნებების მიხედვით არჩევნების მოწყობას ხმა მისცა გამოკითხულთა 48 პროცენტმა, პარტიული სიებით კი 29 პროცენტმა. რეგიონების მიხედვით ეს მაჩვენებელი შესაბამისად 12 და 8 იყო. ამ მონაცემებისთვის მაშინ ყურადღება არ მიუქცევიათ, იქნებ ახლა მაინც გავითვალისწინოთ ჩვენგან განსხვავებული შეხედულება-განწყობილებანი?

არჩილ კოხრეიძე: ბატონ გურამისგან განსხვავებით პროპორციული სისტემის მომხრე ვარ და პატივცემული ოპონენტის ზოგიერთი არგუმენტი დამაჯერებლად არ მეჩვენება. ჯერ ერთი, დღევანდელი წინასაარჩევნო პერიოდი თვისებრივად განსხვავდება 1990 წლის ოქტომბრისწინა პერიოდისგან. მაშინ საზოგადოება ხედავდა მხოლოდ ორ დაპირისპირებულ ძალას — კომუნისტებს და მათ მოწინააღმდეგეებს, ხოლო რამდენადაც ამ უკანასკნელთა ლიდერებს შორის თავისი ინდივიდუალური მონაცემებით მხოლოდ „მრგვალი მაგიდის" სპიკერი გამოირჩეოდა, მოსახლეობამაც არჩევანი მასზე და მის ბლოკზე შეაჩერა. მეორეც, „მრგვალ მაგიდას" დაპირისპირებული პარტიებისა თუ ბლოკების მეთაურთა შორის არ იყო ისეთი მკვეთრად გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა, რომელიც რიგ მონაცემებთან ერთად დაჯილდოებული იქნებოდა ელექტორატის ცნობიერებაზე მძლავრი ზემოქმედების საშუალებით. ბოლოს, ზოგიერთმა პარტიამ მონაწილეობა არ მიიღო არჩევნებში, რამაც თავისი დაღი დააჩნია ჩვენს პირველ მრავალპარტიულ პარლამენტს. ამჟამად სულ სხვაგვარი ვითარებაა. მოსახლეობა კარგად იცნობს არა მარტო წამყვანი პოლიტიკური პარტიების ლიდერებსა და მის ელიტას, არამედ მათ პროგრამებსაც. გასათვალისწინებელია პრესაში გამოთქმული შენიშვნაც, რომ პროპორციული არჩევნებით პარლამენტში მოვლენ პროფესიონალი პოლიტიკოსები. თანაც, ის, ვინც მოითხოვს 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენას, ვალდებულია მხარი დაუჭიროს არჩევნების პროპორციულ სისტემას, რადგან დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის მეოთხე თავის 46-ე მუხლი პირდაპირ ამბობს, რომ: „საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი", რომელიც შედგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისამებრ არჩეული დეპუტატებისგან" (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, 1990, გვ. 465). უშუალოდ სოციალ-დემოკრატებთან დაკავშირებით კი არსებულ სიტუაციაში, რაგინდ პარადოქსულად უნდა მოგეჩვენოთ ჩემი აზრი, მათ მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვების უფრო მეტი შანსი აქვთ, ვიდრე პროპორციულში.

ზოგიერთი იურისტის აზრით, „არჩევნების პროპორციული სისტემა, რომელიც სავსებით მისაღებია ინგლისში, მიუღებელია საქართველოში, რადგან ჩვენში იგი პარტიის ლიდერების არჩევნებად გადაიქცევა. ლიდერებს „ლოკომოტივის" პრინციპით კიდევ გაჰყვება პარტიის შემადგენლობის ის ნაწილი, რომელიც შეიძლება სასურველი იყოს ლიდერებისა და პარტიებისთვის, მაგრამ სრულიად არ იყოს სასურველი და სასარგებლო პარლამენტისთვის. ერთადერთი საარჩევნო სისტემა, რომელიც სადღეისოდ გამოდგება საქართველოში, მაჟორიტარული სისტემაა" (თ. შავგულიძე გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წ.). ბუნებრივია, ცალკეული ნაკლოვანებანი ყველა სისტემას აქვს, მაგრამ პროპორციული არჩევნების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ასეთ შემთხვევაში ამა თუ იმ პარტიის ან ბლოკის ლიდერი თავის გარშემო იკრებს პროფესიონალთა მძლავრ ბირთვს და მათი მეშვეობით ცხოვრებაში განახორციელებს განსაზღვრულ პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამას. სხვათა შორის, სწორედ ამ სისტემით მოწყობილი არჩევნები აგვაცილებს ბატონ თ. შავგულიძის მიერ პარლამენტში ასე ნანატრ რიგ დეპუტატთა კოოპტაციის წესით შეყვანას, რადგან სხვა შემთხვევაში თავს იჩენს პროფესიონალიზმის დეფიციტი და „პოპულარული მსახიობი არჩევნებში ყოველთვის დაამარცხებს კარგ იურისტს" (მისი სიტყვებია). რაც შეეხება „დასის" მიერ მომზადებულ „საქართველოს რესპუბლიკის" პარლამენტის არჩევნების დებულების" პროექტს, მისი ნაკლოვანებანი დამაჯერებლად გვიჩვენა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ბატონმა ალ. შუშანაშვილმა (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 22/II. 1992 წ.). დღეს მხოლოდ ერთ მომენტზე გავამახვილებ ყურადღებას. ვფიქრობ, დაუშვებელია დეპუტატთა რიცხვის შემცირება. ახალი პარლამენტი 300-ით თუ არა, 250 კაცით მაინც უნდა განისაზღვროს, თორემ ბევრი პროფესიონალი პოლიტიკოსი მის გარეთ დარჩება, ამას კი შეიძლება ფრიად გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს.

თემურ მირიანაშვილი: პირველ ყოვლისა, ვფიქრობ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების გამოცდილება უნდა გავითვალისწინოთ, რომლებმაც შეძლეს სტაბილური და ქმედითუნარიანი პარლამენტის შექმნა. ამ რესპუბლიკებში კი არჩევნები მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე გაიმართა. მაჟორიტარული სისტემა ქმნის პირობებს, რომ ამომრჩევლის ყურადღება გამახვილდეს დეპუტატობის კანდიდატის ინდივიდუალურ თვისებებზე, მისი პარტიული კუთვნილება კი მეორე პლანზე გადადის. აი, ეს არის მაჟორიტარული სისტემის დიდი ღირსება. დღეს აქცენტის გაკეთება პარტიებსა და პარტიულობაზე უმძიმესი შეცდომა იქნებოდა. ტოტალიტარულმა რეჟიმმა მოსპო ნორმალური პოლიტიკური ცხოვრების ყოველგვარი პირობები. მართალია, პერესტროიკის შემდეგ პარტიები და პოლიტიკოსები მომრავლდნენ, მაგრამ თითქმის შეუძლებელია ისეთი პოლიტიკოსის ან თუნდაც პარტიის დასახელება, რომელსაც შემუშავებული ჰქონდეს ქვეყნის განვითარების კონცეფცია, დარგობრივი პროგრამები თუ პროექტები. რა თქმა უნდა, რეჟიმის დამხობის უმალ, ერთ-ორ დღეში ან თუნდაც რამდენიმე წელიწადში ვერ შეიქმნებოდა ნამდვილი პარტიები, ვერ გაჩნდებოდნენ პროფესიონალი პოლიტიკოსები. სწორედ ამიტომ საქართველოს გარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა სხვა რესპუბლიკაში პარტიები უგულებელყვეს. მეტიც, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საშუალებით პარლამენტში გზა გაუხსნეს ერის ყველაზე თვალსაჩინო შვილებს — მწერლებს, ხელოვანთ, ჰუმანიტარული და ტექნიკური ინტელიგენციის ელიტას. ცხადია, ეს ადამიანები არ არიან პოლიტიკაში იმდენად გაწაფულნი, როგორც თავიანთ სპეციალობაში, მაგრამ დიდ კომპეტენტურობას ხომ ვერც დღევანდელ პარტიათა მოღვაწენი დაიკვეხნიან. სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენცია კი პარტიულ ფუნქციონერებს ბევრად აღემატება საერთო ერუდიციით, ცხოვრებისეული გამოცდილებით, სიბრძნით, ზნეობით, პოლიტიკაშიც უკეთ ერკვევიან, ვიდრე ისინი, ვინც თავს პროფესიონალ პოლიტიკოსად რაცხს. ასე რომ, დღეს საქართველო ალტერნატივის წინაშეა: ან სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად მაჟორიტარული არჩევნების გზით თავისი რჩეული შვილები შეკრიბოს პარლამენტში და ამით უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დაამკვიდროს განათლებულობა, სიდინჯე, ზნეობრიობა, ანდა პროპორციული თუ შერეული საარჩევნო სისტემებით კვლავ ძირითადად პარტიულ ფუნქციონერებს მოუყაროს თავი პარლამენტში, რითაც, ჩემი ღრმა რწმენით, კვლავინდებურად იმპულსურ, არასრულფასოვან, ამბიციურ პოლიტიკას შეექმნება ნიადაგი და ეს ახალ ტრაგედიას გამოიწვევს. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან პარტიებს, რომელთაც არ აქვთ (და არც სურთ ჰქონდეთ) თეორიული ბაზისი, პრაქტიკულ საქმიანობაშიც უმძიმესი შეცდომები მოსდით. ყველას გვახსოვს ირაკლი წერეთელმა, გიორგი ჭანტურიამ და მათმა თანამოაზრეებმა, რომელთა შორის იმხანად ზვიად გამსახურდიაც იყო, როგორ ჩაშალეს 1990 წლის მარტის არჩევნები— ეს გზა თავისუფლებასთან ვერ მიგვიყვანსო. არადა, დღეს ხომ ყველამ ვიცით, რომ იმ გზამ ბალტიისპირეთი უკვე მიიყვანა სრულ თავისუფლებასთან, სხვა რესპუბლიკები კი საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად აქცია, გაეროში შეიყვანა ან სულ მალე შეიყვანს. საქართველო კი ყველას ჩამორჩა, რადგან პარტიათა ამბიციებს აჰყვა. ეს აღარ უნდა განმეორდეს. ამიტომ ჯერჯერობით, რაკი თითქმის არ გვყავს პროფესიონალი პოლიტიკოსები და არც ნამდვილი პარტიები, მომავალი პარლამენტი უნდა დავუთმოთ ქართველი ინტელიგენციის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებს. მერე კი თანდათან გამოჩნდებიან ნამდვილი პროფესიონალი პოლიტიკოსები და დაიკავებენ კუთვნილ ადგილს სახელმწიფო საჭესთან.

გურამ მამულია: დაბალი მართლშეგნების საზოგადოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს არჩევნების ფორმას, რადგან არ არსებობს უნივერსალურად კარგი კანონები საერთოდ, მათ შორის, რასაკვირველია, საარჩევნო კანონიც. ყოველ კანონს ხომ, ჩვეულებრივ, თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს. ამდენად ეს გადამწყვეტი არ არის „კარგი" ან „ცუდი" პარლამენტის ჩამოყალიბებაში. უვარგისი ან უკეთესი დეპუტატები ხომ შეიძლება აირჩიონ როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით. რაკი „დასის" მესვეურთა წარმოდგენით პროპორციულ-მაჟორიტარულმა საარჩევნო კანონმა გამსახურდია-ასათიანის უვარგისი პარლამენტი მოგვცა, შეცდომისგან თავის დასაღწევად ამჯერად ისინი საარჩევნო დებულების ახალ პროექტს გვთავაზობენ. იგი საკრებულოთა არჩევნების დროს უკვე მოისინჯა და, რადგანაც ამ არჩევნების შედეგად „მრგვალი მაგიდის" პოზიციები საკრებულოებში საკმაოდ დასუსტდა, დასელებს, როგორც ჩანს, ჰგონიათ, რომ ამ კანონით ახალი უვარგისი პარლამენტის წარმოქმნას თავიდან ავიცილებთ. მიზანი კარგია, მიზნის მიღწევის გზა კი ერთობ სათუო. შემოთავაზებული კანონპროექტი წინასთან შედარებით უფრო რთულია და ამიტომ მრავალპარტიული არჩევნების გამოცდილებას მოკლებული ჩვენი ამომრჩეველი დაიბნევა.

ჩემი ვარაუდით, მსხვილ საარჩევნო ბლოკებში გაერთიანებული პარტიები პროპორციულ სისტემაზე აგებული ერთიანი საარჩევნო სიით უფრო შეძლებენ შედარებით უკეთესი პარლამენტის არჩევას. გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ ძალზე ბევრი პარტია გვყავს, რომლებშიც რეალისტურად მოაზროვნე პირები უმეტესობას ქმნიან. თუ მსხვილ ბლოკებში გაერთიანებული პარტიები თავის საარჩევნო სიებში ამ რეალისტურად მოაზროვნე ადამიანებს გააერთიანებენ, შედარებით სალი პარლამენტის არჩევის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

დემოკრატია არჩევანის უფლებით იწყება, რომელიც სოციალურ პასუხისმგებლობას უნდა ეფუძნებოდეს. 1990 წლის პარლამენტის და 1991 წლის პრეზიდენტის არჩევნებმა წარმოაჩინა ჩვენი ამომრჩევლების პოლიტიკური თვალთახედვის უაღრესი სისუსტე. რაგინდ პასუხისმგებლობითაც უნდა მიუდგეს ჩვენი საზოგადოება მომავალ არჩევნებს, შემდეგ მაინც არასახარბიელოა მოსალოდნელი, რადგან ამომრჩეველი იგივეა. მათი თვალთახედვის მკვეთრი ცვლილება უკეთესობისაკენ მოკლე დროში შეუძლებელია. უახლოეს წლებში დემოკრატიული რეფორმების ეფექტიანი განხორციელება საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების „ქვემოდან" ჩამოყალიბებით დიდი სოციალური დანახარჯების გარეშე საეჭვო ამოცანად გამოიყურება. ჩვენში არ არსებობს მესაკუთრეთა ფართო საშუალო ფენა, რომლის სოციალურ პასუხისმგებლობაზეა აგებული თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებები. ეს ფენა სწორედ დემოკრატიულმა რეფორმებმა უნდა შვას.

საქართველოში ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიულ წყობილებაზე გადასვლის ზოგადი სურათები შედარებით ნაკლები დანახარჯებით ასე მესახება: რეფერენდუმის გზით სამი ან ხუთი წლის ვადით ბატონ ე. შევარდნაძეს ეძლევა საგანგებო რწმუნებები ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების განხორციელებისთვის. პროფესიონალი სპეციალისტებისაგან ე. შევარდნაძე პირადად ნიშნავს სახელმწიფო საბჭოს წევრის ორ მესამედს, ხოლო ერთ მესამედს პოლიტიკური ორგანიზაციები აირჩევენ. სახელმწიფო საბჭოს დაეკისრება პარლამენტის ფუნქციები, რადგან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი პროფესიული პარლამენტის ტოლფასი პოლიტიკური დაწესებულების შექმნა საქართველოში. მართალია, ეს არ იქნება „ქვემოდან" ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი, მაგრამ ეს იქნება ის დაწესებულება, რომელიც შედარებით მინიმალური დანახარჯებით შეძლებს საქართველოს გამოყვანას იმ სოციალური და ეკონომიკური კრიზისიდან, რომლის სირთულე, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბოლომდე არა აქვს გააზრებული ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს. უნდა გვეყოს გონიერება და მივხვდეთ, რომ დემოკრატიის გარანტი ამ შემთხვევაში თავად ე. შევარდნაძის პიროვნებაა, რომლის მოღვაწეობამ სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოსაც მოუტანა დამოუკიდებლობა და თავისუფლება. გასავლელი დაგვრჩა რეალური დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზის ბოლო მონაკვეთი. ქართველთაგან, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, ამ გზის დაძლევა ყველაზე პროფესიულად სწორედ ე. შევარდნაძეს შეუძლია.

სოსო ცინცაძე: დასასრულ, არ შემიძლია თავი შევიკავო მცირე ლირიკული გადახვევისგან — საკითხი ეხება მომავალი პარლამენტის სამუშაო ადგილსა და პირობებს. პრესაში გაიელვა ცნობამ, რომ უზენაესი საბჭოს დღევანდელი შენობა, თუ არ ვცდები, ვაჭრობისა და კულტურის (ან ანალოგიური შინაარსის) სასახლედ უნდა იქცეს. სოცარია პირდაპირ. მსოფლიოს 30-ზე მეტ დედაქალაქში ვყოფილვარ და ყველგან ყველაზე პრესტიჟულ ადგილას პარლამენტის შენობა დგას, სადაც გიდებს აუცილებლად მიჰყავთ უცხოელი ტურისტები. დღევანდელი შენობა შეიძლება ვინმეში მართლაც უსიამო ემოციებს იწვევდეს, მაგრამ გავთავისუფლდეთ ილუზიებისგან — შეგვიძლია დღეს ისეთი დანაშაულებრივი ფუფუნების დაშვება, როგორიცაა ეროვნული პარლამენტის ახალი შენობის აგება? არადა, ქალაქში პრაქტიკულად არ მოიძებნება შენობა (უფრო ზუსტად ანსამბლი ან კომპლექსი), სადაც პარლამენტი შეძლებს ნორმალურ ფუნქციონირებას, რასაკვირველია, თუ ეფექტიანი საკანონმდებლო ორგანოს შექმნა გვსურს, და არა ვისიმე დიქტატურის შემნიღბავი დეკორაციისა. ნუ დავკარგავთ რეალობის გრძნობას, ჯერ ის ავაშენოთ, რაც აუცილებლად გვჭირდება (გვჭირდება კი ძალზე ბევრი რამ), ახალი პარლამენტის შენობის აგება კი უკეთესი დროისთვის გადავდოთ.

აზრი ყველას უნდა ვკითხოთ

უნდა ვკითხოთ აზრი მუშაკაცს, მარჩენალს, გნებავთ, — უდიდებულესობას, განსაკუთრებით იმას, ვისი ხელიდანაც გამოდის პური ჩვენი არსობისა პირდაპირი მნიშვნელობით. ასეა, ალბათ, საჭირო საზოგადოებრივი წონასწორობის შესანარჩუნებლად.

თუ ვინმეა დღეს დეპოლიტიზებული, მშრომელი კაცია, ის ვინაც იცის, რომ დღეს ხელების დაკაპიწებაა მთავარზე უმთავრესი. მისი და ამ დარგთან დაკავშირებული ათასობით პროფესიონალის წყალობითაა იანვარ-მარტის ის კონტრასტი, რომელიც ჩვენს ფოტოებზეა აღბეჭდილი. მაშ ასე, ლაპარაკობს

მეპურე, რომელიც იღიმის

თქვენი არ ვიცი და მე მგონია, დიაღაც, სასწაულმოქმედი იყო, ვინც — ადამის მოდგმათაგან უპირველესმა — პური გამოაცხო, ახლობლები დააპურა და ამ საკვების ყადრი აგრძნობინა დიდ-პატარას... იქნებ სულაც რაჭველი იყო ის დალოცვილი და ღვთიან-მადლიანი?! იუმორი? კი ბატონო, მაგრამ ხორბლის უნიკალური ჯიშები რომ გვქონდა ქართველებს? დღეს პურის მცხობელის „მონოპოლია" რაჭველებს — ამ სიკეთით სავსე ხალხსა აქვთ აღებული და კიდევაც გულუხვად გვირიგებენ სიკეთეს —სურნელოვან, უგემრიელეს პურუკებს.

აი, აქაც — სასტუმრო „აჭარის" თონეშიც — სულ რაჭველები ყოფილან: ჯიბილო სულაძე, შოთა სვანიძე, ავთანდილ დონაძე, მიშა გიორგობიანი... ერთი ცომს აგუნდავებს, მეორე გულდაგულ აბრტყელებს და თონეში რომ გადაყუდებულან, იმათ აწვდის ჩასაკრავად...

ჩვენი რეპორტიორის — თედო ნიკოლაიშვილის მიერ გადაღებულ ფოტოზე ჯიბილო სულაძეა გამოსახული. მესაუბრება და თან სახეზე ალალი ღიმილი დასთამაშებს...

თურმე მამაც მეპურე ჰყოლია. ოცდაათ წელზე მეტია ამ საქმეს ემსახურება თვითონაც.

— ქვე რა იყო. ეს ასეთი ზამთარი, ჩემო ბატონო... ცალკე ომი და ძმათაკვლა. ცალკე შიმშილი და სიცივე... მგონია დადგეს უკეთესი დრო... ჩემნაირი მუშაკაცისთვის, მთლად სულერთი არაა, ვინ იქნება ქვეყნის სათავეში, უნდა გვიპატრონოს და ჭკუა დაატანოს საქმეს... ქუჩაში გასვლის ქვე რავა უნდა მეშინოდეს...

— ზამთარში ალბათ მეტი ჯაფა დაგადგათ...

— არ გვიმუშავია ნახევარჯერ და... ხან დენი არ იყო, ხან ფქვილი... თან, რომ გაძვირდა....

— როგორ ფიქრობთ, არ უნდა გაძვირებულიყო?

— საჭირო შეიქნა და... ახლა უფრო გაიგებს ხალხი პურის ფასს... მომყვანსაც მეტად დააფასებს და მცხობელსაც... ზოგი მთელ-მთელს ყრიდა, შე კაცო..

—პურის ფქვილი თუ გაქვთ, საკმარისი?

— ჰა და ჰა... ერთ-ორ დღეს გვეყოფა და უნდა მოგვაშველონ...

— ღმერთმა იმედი არ მოგიშალოთ, ჯიბილო-ბატონო. ჯანი და ღონე არ მოგაკლოთ!..

— გმადლობთ, ჩემო ბატონო.... ოღონდ საქართველო დამშვიდდეს, ეს არჩევნებიც მალე ჩატარდეს და ქვე რაღას დავეძებ. პურის ცხობა და ოფლის ღვრა ჩვენზე იყოს... ცხელი შოთი გაიყოლე. თუ გიყვარდე!..

— აპაპაპა... გაძვირდა ძმაო, გაძვირდა!... .

ღიმილით მაცილებს ჯიბილო სულაძე. მემშვიდობებიან დანარჩენებიც. მოვდივარ ჩემთვის. რა თქმა უნდა, ტრანსპორტი ჭირს და ამ სიარულში, ბიჭოს, ორსტრიქონიანი ექსპრომტი არ ვუძღვენი გონებაში რაჭველ მეპურეს?

„პირზე ღიმილი სულ აქვს,
რა მოკლავს ჯიბო სულაძეს..."

ღმერთმანი, უკეთესი ლექსის ღირსია.

ვილენ მარდალეიშვილი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ გურეშიძე

რექვიემი

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში თბილისში ძმათამკვლელი ბრძოლების დროს დაღუპულთა ხსოვნას.

„...ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი..."
დავით გურამიშვილი.

რეკავენ ივერიის
დიდ ტაძართა ზარები,
უანგისფრად შეფერილან,
დასტყობიათ ბზარები.

ბზარი უჩანთ აზიდულ
გუმბათებს და კედლებს,
—არც ისინი დაზოგეს,
ტყვია მოახვედრეს!

ხმაურსა და კივილში
ქაშუეთის წინ,
ღვთის რისხვაა თბილისში—
ცეცხლის წვიმა წვიმს.

გოროზად და ზეიმით,
დაბოლმილი მგოსნებზე,
სიკვდილი დასეირნობს
რუსთაველის პროსპექტზე.

ვინც რა უნდა მითხრას,
პასუხს თვითონ ვნატრობ —
არ მასვენებს კითხვა —
რატომ?
რატომ?...
რატომ?...

— რად ვახარეთ ბოროტი,
— რატომ ვდევნეთ კეთილი,
— რად ვიყავით ბოლომდე
მარტო და ჩაკეტილი?

— ქედი რად მოვიხარეთ,
—თავი რად შევიკავეთ?...
დარჩება სამწუხარო
გამოუცნობ იგავად.

ვერავინ გაამართლებს
ეშმაკსა და მაცილს,
მაგრამ სხვა ვერ დამართებს,
თავს რომ უზამს კაცი.

სასუფევლის კართან
ცოდვას მადლი ერთვის,
ტყუილსა და მართალს
განსჯის მხოლოდ ღმერთი.

დაჭრილი და მკვნესარი
მე უნდა გაგამრთელო,
უძმოვ, უნათესავო,
ობოლო საქართველო...

თუ კი რამ მაბადია
ლექსში უნდა დავტიო...
— მე ვინ რა მაპატია,
მე უნდა ვაპატიო.

მე უნდა ვირაინდო,
არ ვარ სხვათა იმედად,
თუმცა ძმამ არ დამინდო,
გამწირა, გამიმეტა.

სიბრძნის ზღვარი წაშლილა,
შლეგი დილა გათენდა,
— ძმები ერთურთს აშლიან,
სისხლი ყივის ქართველთა.

არას გვარგებს დაყოფა,
არ უნდა ვიკენოთ,
— ისიც კმარა, გვეყოფა
მორფი და კოკაინი.

არც არავინ იფიქროს
ძველ ტკივილს ვედევნებით:
— ჩვენ არ უნდა დავკრიფოთ
სიძულვილის მტევნები.

— გაგვწყრომია უფალი,
რა გვჭირს, თავი გვეპრება...
— ცოდვანი ხართ, უბრალოდ
დაღუპულო ბიჭებო!

მოურჩენელ იარებს
ჟამი დარდად დატოვებს...
— ვაგლახ, ვერ მოგიარეთ,
— ვაჰმე, ვერ გიპატრონეთ!..

ბიჭებო, ყვინჩილებო,
თქვენზე ფიქრით გავბრუვდით...
— სად მიდიხართ, შვილებო,
დარჩით... უკან დაბრუნდით!..

ქუხილს გაყვა ძახილი
ოჯახის და ცოლ-შვილის....
— დროშა დაბლა დახრილა,
კერა ადრე მოშლილა...

რა ამაოდ დასრულდა
ის, რაც გულით ვინატრეთ...
— გრძელ ქვეყანას წასულნი
რით მიუხვალთ წინაპრებს?!

— თქვენთან სიკვდილს რა უნდა,
ყალყზე უნდა დგებოდეთ,
სალხინოდ, სამეჯლისოდ
უნდა ემზადებოდეთ...

ულვთოდ ჩაგსაფრებიათ
გზაზე ბედი ვერავი...
— ვერ ჩაიცვით ბიჭებო
საქორწილო პერანგი!

რაც ოცნებით ჩაუთქვეს
დარჩათ მაინც სათქმელი...
— გოგოებო, დაუნთეთ
იმ კარგ ბიჭებს სანთელი!..

სწამდათ...
და სიმართლეში
არც ეჭვობდნენ სრულებით,
— ღმერთო, მარად ნათელში
ჰყავ, იმათი სულები.

...ტყვიის წივილ-კივილში
ქაშუეთის წინ,
ღვთის რისხვაა თბილისში,
სისხლის წვიმა წვიმს.

ვაჰმე, თბილის-ქალაქო,
ქუჩებო და უბნებო,
ზეცა კვამლმა გალაქა,
ცურავს ცრემლის ღრუბლები.

დავანგრიეთ ბუხარი
(სიკვდილო და სირცხვილო!),
მე ცრემლი მდის მდუღარე
მტერმა უნდა იცინოს!..

ქაშუეთის კედლებო,
მკვიდრო, ჩუქურთმოვანო,
მოწამისას ედრება
თქვენი ჭირთა თმენანი.

ქვა უგნურის ნატყორცნი
თქვენც გაქვთ მონახვედრები...
— შეგვინდე და დაგვლოცე
მუხლმოყრით გევედრები.

აგვიცრემლდა სიმღერა
და ღიმილიც ძნელდება
— სისხლი ისევ ილვრება,
სროლა ისევ გრძელდება.

ასე რად ავიშალეთ
(რა ცოდვისთვის ვგოდებდე!),
— ღმერთო, რა დაგიშავე,
— საქართველოვ, როდემდე?!

„..თუ ძმას დაემტერები —
ჭირი არ მოგშორდება,
სული დაგემტვერება,
გული აგიშმორდება.

შავად დაიბინდება
შენი ხვე და შენი დღე,
ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით
ძმაო, უნდა შევრიგდეთ!

სუფრაც ერთად გავშალოთ,
მტერზეც ერთად წავიდეთ...
— ძმაო, შემომეშველე,
ძმაო, გვერდში დამიდექ!

საქართველოს
ზარებო,
რეკეთ,
რეკეთ,
რეკეთ...
იყავით სიყვარულის
და მშვიდობის მეკვლე!

ღმერთო, შენ გადმოგვხედე
და ღვთიური ნებით
გაგვიმრავლე მოკეთე,
გვიდღეგრძელე ძმები!

თებერვალი, 1992 წ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

რადიოსადგური ბი-ბი-სი იუწყება, რომ ორ ლიბიელ ტერორისტს ამ ქვეყნის თანხმობით შოტლანდიას გადასცემენ.

კიდევ ერთმა ამერიკულმა ატომურმა წყალქვეშა ნავმა დაარღვია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული წყლები. ამჯერად ეს მოხდა კოლის ნახევარკუნძულის მიდამოებში, იუწყება იტარ-საკდესის სააგენტო.

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა თავის მოქალაქეებს ურჩია თავი შეიკავონ სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, აგრეთვე ჩრდილოეთ ოსეთში, ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და მოლდოვეთის დნესტრისპირეთის რაიონში მოგზაურობისგან.

შეერთებული შტატების ქალაქ ინდიანაპოლისის სასამართლომ თანამედროვეობის გამოჩენილ მოკრივეს მაიკლ ტაისონს ექვსი წლით პატიმრობა მიუსაჯა. მას ბრალად ედება ამერიკელ შავკანიანი ქალიშვილების კონკურსში გამარჯვებული დეზირე ვაშინგტონის გაუპატიურება. აპრილის მეორე ნახევარში ტაისონი პლანეტის უძლიერესი მოკრივის ტიტულის დასაბრუნებლად ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონს ევანდერ ჰოლიფილდს უნდა შეხვედროდა. რადიოსადგურ „ამერიკის ხმის" სპორტული კომენტატორის აზრით, მან შესაძლოა მაინც შეძლოს ამ ასპარეზობაში მონაწილეობა.

რვა სამხედრო მოსამსახურე გარდაიცვალა, ორი ჰოსპიტალიზებულია მძიმე ჭრილობებით — ასეთია იმ საგანგებო შემთხვევის შემზარავი შედეგი, რომელიც ბურიატეთის კიახტის გარნიზონის ერთ-ერთ ნაწილში მოხდა. ტრაგედია საყარაულო შენობაში დატრიალდა. სამსახურის პირველი წლის რიგითმა ჯარისკაცმა ვიაჩესლავ მენშიკოვმა, რომელიც ირკუტსკიდან გაიწვიეს, სატაბელო იარაღით დაცხრილა ყარაულები, რომლებიც ისვენებდნენ. ამის შემდეგ თან წაიღო ავტომატი, პისტოლეტი, ტყვიაწამალი და მიიმალა. მიმდინარეობს მისი აქტიური ძებნა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

პატრიოტიზმი — დაფარული და აშკარა

თითქოს აქსიომაა: დღევანდელ ვითარებაში ჩვენი ერთადერთი ხსნაა გონიერი, უმაღლეს დონეზე, პროფესიულად წარმართული პოლიტიკა. ამგვარი პოლიტიკის რეალიზატორი შეიძლება იყოს მხოლოდ ედუარდ შევარდნაძე. მაგრამ ზოგიერთნი, რიგ მოსაზრებათა, გნებავთ, ბრალდებათა გამო, თავშეკავების პოზიციას ირჩევენ.

ამ პოზიციის გასანეიტრალებლად ყველაზე უფრო მარტივ და თვალსაჩინო პარალელს გავიხსენებდი: როდესაც ადამიანი ავადაა, არ ფიქრობს იმ წამლის გემოზე, რომელიც მოარჩენს. მთავარია შედეგი. აქაც ასეა.

თუმცა ეს მოსაზრებაც მეჩვენება დამაჯერებლად და საკმარისად მითქმა-მოთქმის უარსაყოფად, მაგრამ მაინც ახლო წარსულს დავუბრუნდები.

ბატონ ე. შევარდნაძის მოსკოვში გადაყვანის შემდეგ სრული დატვირთვით ამუშავდნენ სპეცსამსახურების სათანადო განყოფილებები, ე. წ. „კომპრომასალის" შესაქმნელად. საქმეში ჩაუხედავ კაცს შესაძლებელია, ეს აბსურდულადაც მოეჩვენოს, რადგან დაუშვებლად მიიჩნევს სპეცსამსახურების მუშაობას იმის წინააღმდეგ, ვინც საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელისუფლებას აზიარეს. მაგრამ ეს მაინც ასე იყო, ჩვეულებრივ, ეროვნული ლიდერების დაწინაურების დროს მათს შესახებ „მასალებს" აგროვებდნენ, რათა საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინათ მოსათოკად. და კიდევ — რათა მათთვის სახელი გაეტეხათ საკუთარი ერის თვალში, და ამ გზით გამოეცალათ მთავარი დასაყრდენი — საკუთარი სამშობლო.

პოლიტიკაში სწორხაზოვანი მოქმედება ყოველთვის როდია ეფექტიანი, ხოლო თუ საქმე ეროვნულ პოლიტიკას ეხებოდა, შეუძლებელიც იყო.

ჯერ არ დამდგარა დრო, რომ ყველაფერს აეხადოს ფარდა. მე, პირადად, ალბათ, ჭეშმარიტების ერთი მეათედიც არ ვიცი, მაგრამ ის, რაც დანამდვილებით ვიცი, საკმარისია, რათა ზოგ ჩემს თანამემამულეს გავუფანტო ეჭვი.

ბოლშევიკური ეპოქის პოლიტიკოსი მხოლოდ მისი საქმეებით, მისი ნამოქმედარით უნდა შეფასდეს და არა ნალაპარაკევით და პრესის გამოხმაურებით.

კარგად მახსოვს ჯანმრთელობის დაცვის იმდროინდელი საკავშირო მინისტრი, აკადემიკოსი ბ. პეტროვსკი როგორ განიცდიდა რუსებს შორის შობადობის კლებას, უფრო მეტად კი იმას, რომ მრავალშვილიანი დედებისათვის ახალი შეღავათები (რომელთა შემოღება მას არ უჭირდა) რუსების შობადობას კი არ გაზრდიდა, არამედ მუსლიმანური სარწმუნოების მქონე ერებისას. ეს საკითხი პოლიტბიუროს წევრებსაც აწუხებდათ თურმე, მაგრამ ვერავინ გაბედა საგანგებოდ რუსებისათვის რამე შეღავათის შემოღება. ასეთ პირობებში ქართული ეროვნული პოლიტიკის გატარება ისეთ შენიღბვას მოითხოვდა (თუმცა ეს პოლიტიკა არც ერთი სხვა ერის საზიანოდ არ იყო მიმართული), რომ საწყისი და შუალედური ნაბიჯები მაინც ამოუცნობი უნდა ყოფილიყო. ნებისმიერ ეროვნულ, ჭეშმარიტად ღირებულ წამოწყებას აუცილებლად ინტერნაციონალური ნიღაბი სჭირდება, ხოლო ნებისმიერ სოციალურად ღირებულ მოძრაობას პარტიული საფანელი უნდა ჰქონოდა. სწორედ ამიტომ დღესაც კი არ არის იოლი ჩვენი სამშობლოს ბოლო წლების ბიოგრაფიის ამოკითხვა, ლიდერების ჭეშმარიტი მნიშვნელობის, მათი მამოძრავებელი ინტერესების განსაზღვრა.

ნ. ხრუშჩოვმა ი. სტალინის პოლიტიკური სისტემის დემონტაჟი სცადა, ზოგი რამ მოახერხა, ზოგი რამ ვერა, ბევრი გააფუჭა. მაგალითად, ხელფასები ისე გადაანაწილა, რომ მოსახლეობის, სულ ცოტა, ერთი მეხუთედი მაინც, საკუთარი ხელფასით ოჯახს ვერ შეინახავდა. ისინი იძულებული გახდნენ „ფულის შოვნაზე" გადასულიყვნენ, გაღვივდა კორუფცია. ამ მოვლენამ სამოცდაათიანი წლების მიწურულისათვის განსაკუთრებით მახინჯი ხასიათი მიიღო. საქართველოში უეცრად უზომოდ გამდიდრებულმა მეჯლანუაშვილებმა ერისშვილობა მოინდომეს. ნურავის შეექმნება შთაბეჭდილება, თითქოს მე კომერციის წინააღმდეგი ვიყო. კომერციის ნიჭი ისევე დასაფასებელია, როგორც ნებისმიერი სხვა, მაგრამ არ შეიძლება მამულიშვილობის მაგალითის მიმცემად ვაღიაროთ ხაზინის ქურდი, მით უმეტეს, რომ ხაზინას — ვერაფერს, ოღონდ თანამემამულეებს ბევრ რამეს მოჰპარავ.

ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ იცოდა, რაც ხდებოდა, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შეეძლო. უსამართლობამ და ძალმომრეობამ იმდენად შეაწუხა ხელფასზე მცხოვრები ხალხი, რომ ედუარდ შევარდნაძის ცკ პირველ მდივნად მოსვლას ძვირფასი საჩუქარივით ნატრობდნენ. იმ დროისათვის ჯერ პარტიის რაიონულ კომიტეტში, მერე შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე მან უბრალო ხალხის დამცველის სახელი მოიხვეჭა. იმ დროს ბევრი თბილისელი ედუარდ შევარდნაძის ხელშემწყობი ორგანიზაციის — „ეშხოს" წევრად მიიჩნევდა თავს, თუმცა (და ეს საგულისხმო კურიოზია), ასეთი ორგანიზაცია არც სადმე გაფორმებულა, არც ოდესმე შეკრებილა და არც რაიმე ნაბიჯი გადაუდგამს.

ცხადია, ყველა როდი იყო ასე განწყობილი. მაშინდელი პარტიული და სხვა ხელმძღვანელების დიდ ნაწილს ბატონ ე. შევარდნაძის მოსვლა გასაგები მიზეზების გამო თანამდებობის დაკარგვით ემუქრებოდა, ბობოლა ქურდებს ხომ უფრო მეტი საბაბი ჰქონდათ, რომ ის სძულებოდათ.

ნებისმიერმა ასაკოვანმა მოქალაქემ იცის, რომ ცკ პირველ მდივანს მოსკოვში ნიშნავდნენ და მოსკოვში ხსნიდნენ. საქართველოს მაფიას, ცხადია, „თავისი ხალხი" ჰყავდა მოსკოვშიც, მაგრამ ე. შევარდნაძემ მაინც გაიმარჯვა. დამარცხებულებმა ერთხმად გაასაღეს თავიანთი მარცხი რუსეთის იმპერიული ძალების გამარჯვებად საქართველოში. მკითხველებმა თავად განსაჯეთ, ე. შევარდნაძეს ცკ პირველ მდივნად დანიშვნა კრემლის გამარჯვება იყო, თუ ქართული ჯანსაღი ძალებისა?

კორუფციის, მექრთამეობის, დატაცების ახალი შემოტევა 80-იანი წლების დამდეგს დაემთხვა და ზვავივით გადაუარა მთელ კავშირს, პოლიტბიუროს წევრების გარკვეული ნაწილიც კი ამა თუ იმ გზით ნაქურდალის განაწილებაში მონაწილეობდა.

საბჭოთა კავშირში საყოველთაო ძარცვა-გლეჯის სისტემის დამკვიდრება შეუძლებელს ხდიდა საქართველოში ე. შევარდნაძის პოლიტიკის გამარჯვებას. მაგრამ, საბედნიეროდ, იმ დროისათვის ძირითადი უკვე მიღწეული იყო: ყველა მოვლენას თავისი სახელი დაერქვა, გამდიდრებულმა ქურდმა გაიგო, რომ ის გმირი კი არ არის, ქურდია, გამრჯე კაცმა დაინახა, რომ მისი პატიოსნება ფასდება. ყველა სფეროს ყველა დონის ხელმძღვანელ პოსტებზე შეძლებისდაგვარად დაინიშნენ ისეთი ადამიანები, ვინც გზას თავისი ნიჭითა და უნარით იკაფავდა (და არა ნათლიმამობითა და ფულით). ეს ბატონ ე. შევარდნაძის პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. ბრწყინვალე შედეგი გამოიღო ამ გზამ ხელოვნებაშიც. ვგონებ, პირველად 1937 წლის შემდეგ ქართულმა სულმა დაიწყო აღზევება; სახე იცვალა საქართველოს რაიონებმაც... და კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი სასიკეთო ცვლილება მოხდა, თუმცა საბოლოო მიზანი ვერ იქნა მიღწეული. ამ გარემოებას დღესაც იყენებენ მისი არაკეთილმოსურნენი: თავის საწადელს მიაღწია, სახელი გაითქვა და გაჩერდაო!

ვინ და რატომ ამახინჯებს სინამდვილეს, ადვილი მისახვედრია. მაგრამ სწორედ დღეს ნებისმიერი ჭკუათამყოფელი ადამიანისათვის უნდა იყოს ნათელი, რომ ბატონ ე. შევარდნაძეს პირადი განდიდების ან გამორჩენის მისაღწევად სხვა, ბევრად უფრო იოლი და რისკს მოკლებული საშუალება ჰქონდა. მსოფლიოს წამყვან პოლიტიკოსებთან გამოძებნა საერთო ენა და, როგორ ფიქრობთ, ერთ-ორ სკლეროზიან პოლიტბიუროს წევრს ვეღარ „მოუვლიდა"?

იქ სადაც, ეროვნულ შეგნებას, ეროვნულ განვითარებას რეალური საფრთხე ემუქრებოდა, ბატონი ედუარდ შევარდნაძე თავგამოდებით იბრძოდა განსაცდელის თავიდან ასაცილებლად. გავიხსენოთ ის საშიშროება, რომელიც ქართულ ენას შეუქმნა ე. წ. ბრეჟნევის კონსტიტუციამ.

დღეს ყველა სამართლიანად ვუმადლით სტუდენტ ახალგაზრდობას ქართული ენისათვის სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნებას. თუ არა მათი თავდადება (უფროსები ამჯერადაც მათს ზურგს ამოვეფარეთ), შესაძლოა საქმე სხვაგვარად წარმართულიყო, მაგრამ საქმე არც ისეა, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ — სტუდენტები მივიდნენ უმაღლესი საბჭოს შენობასთან მტკიცე მოთხოვნით, მთავრობას შეეშინდა და გადაიფიქრა ქართული ენის სტატუსის შეცვლა.

1978 წლის 13 აპრილს თვითმფრინავში შევხვდი აწ გარდაცვლილ ბატონ გიორგი ბედინეიშვილს, რომელიც იმხანად პარტიის ცკ იდეოლოგიურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. სახეზე მკვდრის ფერი ედო, გუნება-განწყობილებაც ამისი შესაფერისი ჰქონდა. შველა შევთავაზე, ვიფიქრე გული აქვს-მეთქი ცუდად. ვერაფერს მიშველით, მითხრა და მომიყვა იმ დავის ამბავს, რომელიც ბატონ ე. შევარდნაძეს და სკკპ ცკ მდივანს სუსლოვს შორის მიმდინარეობდა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის ირგვლივ. დღეს ბოლო ცდა იყოო, — მითხრა. — ბრეჟნევის დარეკვის შემდეგ (რომელსაც, რასაკვირველია, ამის შესახებ ბატონმა ე. შევარდნაძემ სთხოვა — ბ. ლ.). კიდევ ერთხელ მივაკითხე ცკ-ში, გამოძლანძღეს და ცივი უარით გამომისტუმრესო! (მიაქციეთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ „ბრეჟნევის კონსტიტუციაში" თვით ბრეჟნევსაც კი არაფრის შეცვლა არ შეეძლო პარტოკრატიის იდეოლოგიური ლიდერის სუსლოვის გარეშე — ბ. ლ.)

სუსლოვთან მოლაპარაკების ასეთი შედეგი, ვფიქრობ, ბატონ ედუარდს ნავარაუდევი ჰქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფრით ავხსნით კრებების ტალღას, რომელმაც ჩვენს დაწესებულებებს, სასწავლებლებსა და საწარმოებს გადაუარა, კონსტიტუციის ავ-კარგიანობის განხილვას რომ ეძღვნებოდა. არა მგონია, პარტიის ცკ მითითების გარეშე დაწესებულებების დირექტორებსა და პარტორგანიზაციათა მდივნებს ასე ერთსულოვნად გაებედათ ახალი კონსტიტუციის გარკვეული მუხლების დაგმობა.

14 აპრილისათვის საზოგადოებრივი აზრი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, ახალგაზრდობა დაიძრა მთავრობის სასახლისაკენ. იქ კი, ეზოში უკვე იდგნენ მეხანძრეების ფორმაში გადაცმული შინაგანი ჯარების „სალდათები", [illegible]

ბელა ლეჟავა,
[illegible]
10 [illegible], 1992 წ.

P. S. 1984 წლიდან ბატონ ედუარდ [illegible] ბ. ლ.

ვითხოვთ სიტყვას

მცირე განმარტება

წელს 20 თებერვლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა გალინა ხარებაშვილის საუბარი წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრთან ბატონ გურამ გოგბაიძესთან. ამასთან დაკავშირებით კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისათვის მიუღებელია ბატონ გოგბაიძის უაპელაციო განცხადება, თითქოს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ერთი ნაწილი საბჭოთა სამართალმემკვიდრეობას უჭერდეს მხარს, მეორე ნაწილი კი „თუმცა სიტყვით ჩვენს პოზიციაზეა, საქმით მაინც საბჭოთა სამართალმემკვიდრეობის დამცველად გვევლინება".

ჩვენს საზოგადოებაში არ არის არც ერთი ადამიანი, რომელიც სიტყვით ან საქმით საბჭოთა სამართალმემკვიდრეობის დამცველი იყოს. ჯერ კიდევ 1988 წლის ზაფხულში ილია ჭავჭავაძის საზოგადოების არალეგალურ მრავალტირაჟიან ჟურნალ „მოამბეში" პირველად ეგრეთ წოდებულ საბჭოთა საქართველოს ისტორიაში გამოქვეყნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია და ჰიმნი. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მუდამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ამოქმედების მომხრე იყო და აქტიურად, კონსტრუქციულად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული კონგრესის შესაბამისი დოკუმენტებისა და 1992 წლის 21 თებერვალს საქართველოს სამხედრო საბჭოს მიერ ხელმოწერილი დეკლარაციის ტექსტის საბოლოო რედაქციის შემუშავებაში.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება ითვალისწინებს უკანასკნელი 71 წლის მსოფლიო პოლიტიკურ რეალობებს, ბოლო ათწლეულების საერთაშორისო შეთანხმებებს და მათ მიმართ საქართველოს დროებითი ხელისუფლების მიერ ერთგულების დეკლარირებას, აგრეთვე იმას, რომ ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკა მშვიდობისმოყვარე ქვეყნად უნდა შევიდეს მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყანათა თანამეგობრობაში, და საკანონმდებლო ინიციატივით შევა საქართველოს რესპუბლიკის მომავალ პარლამენტში, რათა 1921 წლის კონსტიტუციაში თანამედროვეობის შესაბამისი ცვლილებები და დამატებები იქნეს შეტანილი. მონაწილეობას მივიღებთ აგრეთვე კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავებაში. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება საქართველოს დროებით ხელისუფლებას მალე წარუდგენს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად დებულებებზე დაფუძნებულ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ დეკრეტის პროექტს.

რეალურად აფასებდა რა პოლიტიკურ ვითარებას, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას არასდროს ჰქონია რაიმე აკვიატებული აზრი, როგორიც საკმაოდ ხშირად გაისმის საქართველოს პოლიტიკურ წრეებში ბოლო ხანს, და შეეხება ეს, როგორც 1921 წლის კონსტიტუციას ან ყოფილი უზენაესი საბჭოს რეანიმაციას, ისე საქართველოს ბედ-იღბლის კვლავ რომელიმე ერთ პიროვნებაზე დამყარებას.

ბუძა აფაქიძე,
ილია ჭავჭავაძის საზოგადოების პრეს-მდივანი.

საქართველოში საქართველოს დავეძებ

ეს ერთი ხანია საქართველოში საქართველოს დავეძებ — ჩემს, თქვენს, ყველას ბავშვობის, ყრმობის, მოწიფულობის საქართველოს. დავეძებ თბილისში, სენაკში, ხაშურში, ზესტაფონში — ყველგან, მთელ საქართველოში დავეძებ საქართველოს.

შარშან, იერუსალიმში გამართული მსოფლიოს ებრაელთა კონგრესიდან რომ დავბრუნდი, „საქართველოს რესპუბლიკაში" ამ კონგრესზე წარმოთქმული სიტყვა დავბეჭდე: „ღმერთმა შეისმინოს ჩვენი ლოცვა, რომ საქართველო გადარჩეს". მე არ შემეძლო მთელი მსოფლიოს ებრაელობის, კონგრესზე ჩამოსული მრავალი სახელმწიფოს პოლიტიკური მოღვაწის წინაშე არ მეთქვა, თუ 26 საუკუნის განმავლობაში როგორ ძმურად, მეგობრულად ცხოვრობდნენ ებრაელები ქართული ცის ქვეშ, მაგრამ თბილისში დაბრუნებულს საპირისპირო ამბავი დამხვდა — ებრაელთა ოჯახებს არბევდნენ, აწიოკებდნენ. ამიტომ არ შემეძლო „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდილი საკონგრესო სიტყვისთვის მინაწერი არ გამეკეთებინა და ხმა არ ამემაღლებინა, უწინარესად ქართველთა ღირსების დამარბეველი, ქართველთა შემარცხვენელი ამ ფაქტების წინააღმდეგ.

რამდენიმე დღე მირეკავდნენ და ყურმილში ჩამძახოდნენ: „საქართველო, ალბათ, გადარჩება, შენზე კი ვერაფერს გეტყვითო".

და დღეს, თითქმის ერთი წლის შემდეგ, მე კვლავ ვამბობ: ღმერთმა შეისმინოს ჩვენი ლოცვა, რომ საქართველო გადარჩეს. ვამბობ, რადგან ვხედავ, რა უბედურებაც ტრიალებს ჩვენს თავს, ყველას დაგვჩხავის შავი ყორანი და ყველას ერთად წაგვლეკავს უზნეობის ნიაღვარი: ოდითგან ასე ყოფილა: ვისაც ებრაელობა დაურბევია, ვისაც ებრაელობა აუწიოკებია, თავად დარბეულა, თავად დაწიოკებულა. ალბათ, ღვთის ნებაა ასეთი, ალბათ, იგივე ნება, რომელმაც გააპო ზღვა, როცა მოსეს ებრაელები ეგვიპტიდან გამოჰყავდა, ალბათ, იგივე ნება, რომელმაც მოსრა ებრაელთა მოსპობის მოსურნე ბაბილონი, გააცამტვერა ებრაელთა გაცამტვერების მოწადინე ჰიტლერი და კიდევ ათასი მისი ჯურის კაცი. ღმერთი რომ თავის რჩეულ ერს ეგრე ჰაიჰარად არ აგდებს, აქედანაც ჩანს: მისი მტერნი ისტორიის გზებზე მიმოიფანტნენ, ის კი დღეს ფენიქსისებრ იწყებს ახალ სიცოცხლეს.

ჩემდა სავალალოდ დღეს, ქართული ტელევიზიის ერთი გადაცემის კვალდაკვალ (26 მარტი, 1992 წ. „შეხვედრა ჯამაათთან") კვლავ მიხდება ქართველ მკითხველს ისევ ებრაელთა დაწიოკების თაობაზე ვესაუბრო.

ეს ბოლო ორი დღე, ალბათ, ყველაზე მძიმეა ჩემთვის, ორი ერთმანეთის მომდევნო დღე ცხოვრებისა.

25 მარტი. დილის 10 საათი. ქართველ მწერალთა XI ყრილობაზე მისული ვხედავ უსასტიკეს, შემზარავ სურათს: ფლეთენ, გლეჯენ, წვავენ ქართველ მწერალთა წიგნებს!

ხალხი თავისი მწერლების წიგნებს წვავს!..

და იმ წიგნებს შორის არის „ვეფხისტყაოსანი"!

ამაზე უარესი რა უნდა მოგვივიდეს ქვეყანას?!

საით მიჰყავთ საქართველო? რას უქადიან დღემდე კაცობრიობის წინაშე პირწმინდად წარმდგარ საქართველოს?

იქნებ, ეს ჩვენი ებრაელების ბრალიც იყოს? (ისრაელიდან ჩამოსულთ ვგულისხმობ, მეტწილად). მეტისმეტად ხომ არ ვაჭარბებთ ჩვენ-ჩვენს მდგომარეობას, მეტისმეტად მდიდარ, შეძლებულ, უზრუნველი ყოფის ადამიანებად რომ წარმოვაჩენთ ჩვენ-ჩვენს თავს აქ, ყოფილი მეზობელ-ამხანაგების წინაშე?

მე იქ, ისრაელში, ბევრი კარგი ოჯახი მინახავს, მაგრამ ცოტა, სახელმწიფოსგან ალებული სესხით რომ არ საქმიანობდეს. და თუ ვინმეს რაიმე აქვს, თუ ვინმეს ტანთ ჩაუცვამს და დაუხურავს, ისიც უზარმაზარი, ქანცგამცლელი შრომის ფასად.

ჩვენ ასეთი შრომა ჯერ არ დაგვიწყია!

ესეც ქართული ხასიათის გამოვლინება ხომ არ არის? ოღონდ ვინმეს მდიდარ, შეძლებულ ადამიანად მოვაჩვენოთ თავი და ტყავსაც კი გავიძრობთ.

ან იმათ, მიცვალებულის საფლავიდან ამომგდებთ, ისეთი რა უნდა იშოვონ, ასეთი რით უნდა გაძღონ ცოლ-შვილი თუ მეგობარ-ამხანაგები, რომ ქართველი კაცის ზნეს და სახელს ესოდენი ჩირქი მოსცხონ?

რისთვის?

არადა, რა წინაპრები გვყავდა, რა ხალხი ამშვენებდა ჩვენი ისტორიის დერეფნებს.

1902 წელს ქუთაისში რომ რუსულმა დასმა ებრაელთა გამაქიქებელი სპექტაკლი ჩამოიტანა, ქალაქის საზოგადოებრიობამ დასი ქუთაისიდან დაითხოვა. დამთხოვთა შორის დიდი ნიკო ლორთქიფანიძე იყო, დიახ, სწორედ ის ნიკო ლორთქიფანიძე — ქართული მწერლობის სიამაყე და სინდისი. იმ ღამეს დემონსტრაციაში მონაწილეობისთვის დააპატიმრეს კიდეც; მაგრამ მას სხვაგვარად არ შეეძლო — შეურაცხყოფილ ებრაელთა დაცვით თავის ეროვნულ ღირსებას იცავდა, მის ჭერს ამაღლებდა.

ჩვენ ასეთმა საქართველომ გაგვზარდა და ასეთი საქართველო გვიყვარს.

1903 წელს კიშინიოვში რომ ებრაელობა დაარბიეს, აქ დიდმა ილიამ აღიმაღლა ხმა. „ივერიაში" დაბეჭდილი მისი მგზნებარე სიტყვა დღემდე ცოცხლობს, დღემდე ცხოვრების საგზლადა აქვს აქ დარჩენილ თუ შორეულ გზებზე წასულ ებრაელობას.

ჩვენ ასეთმა საქართველომ გაგვზარდა და ასეთი საქართველო გვიყვარს.

ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტმა საბა კლდიაშვილმა მკერდით დაიფარა ებრაელობა, თავისი ერის მრწამსს სიცოცხლე შესწირა.

ჩვენ ასეთმა საქართველომ გაგვზარდა და ასეთი საქართველო გვიყვარს.

ღმერთმა ექვსი დღე მოანდომა სამყაროს შექმნას. მეშვიდე დღე — შაბათი კი დაისვენეთო, ბრძანა. შაბათს ებრაელობა არ საქმიანობს, არაფერს აკეთებს, გარდა წმინდა წიგნების კითხვისა. ასანთსაც კი არ გაჰკრავს, ცეცხლსაც კი არ დაანთებს. ეს იცოდნენ ჩვენმა სენაკელმა, ფოთელმა, ხობელმა, ქუთაისელმა, ბანძელმა, ახალციხელმა, სურამელმა თუ ცხინვალელმა მეზობლებმა და თავად გადმოვიდოდნენ, რომ ბუხარში ცეცხლი დაენთოთ, ან „კეროსინკის" ფითილი აენთათ, რათა ოჯახს საჭმელი შეეთბო და ესადილა.

ჩვენ ასეთმა საქართველომ გაგვზარდა და ასეთი საქართველო გვიყვარს!

ეს ერთი ხანია კი ასეთმა რა სიომ წამოუბერა, ან რა საზარელი სიტყვა მოვიდა!

შარშან მაისში, პარიზში, ებრაული სასაფლაო წაბილწეს ნეოფაშისტებმა. მეორე დღეს პრეზიდენტი მიტერანი, ფრანგი პოლიტიკოსები, მწერლობის, თეატრის, კინოს, მეცნიერების ვარსკვლავები პარიზის ქუჩებში გამოვიდნენ და საპროტესტო აქცია მოაწყვეს.

იმავე 1991 წელს თბილისშიც დაარბიეს ებრაული სასაფლაო. წაიბილწა 20-80 წლის წინათ დაკრძალულთა საფლავები.

ბევრი იარეს, მრავალს შეხჩივლეს, ასეთი სამარცხვინო ამბავი მოგვდისო, მაგრამ...

აგერ გუშინ კი დაბა კულაშში, თურმე, მიცვალებული ამოიღეს საფლავიდან და საქართველოს წმინდა სახელს კიდევ ერთი ლაქა მოაცხეს იმის გულისთვის, რომ გვამის ქურდებმა უკეთესი სახლი აიგონ, მათმა ცოლ-შვილმა უკეთ ჩაიცვას, უკეთესი და უფრო მეტი საჭმელი ჭამოს, მაგრამ ისტორიული გამოცდილება ხომ სრულიად საპირისპიროს გვასწავლის — სხვისი დარბევა-დაწიოკებით კაცი ჯერ არ გამდიდრებულა! წამხდარა კია, მაგრამ ბედნიერების მოპოვება?..

და მე ვინ დამძრახავს, რომ დავდიოდე ამ საქართველოში და ჭეშმარიტ საქართველოს დავეძებდე, იმ საქართველოს, რომელიც გვიყვარდა, გვათბობდა, სიყვარულსა და ამტანობას გვასწავლიდა.

ტელეეკრანზე შევყურებდი ისრაელიდან ჩამოსულ ჭირისუფალთ და ვფიქრობდი: ისრაელში დაბრუნებულებმა, მართლაც, რა უნდა უთხრან იქ თავ-თავიანთ ნაცნობ-მეგობრებს, კოლეგებს იმ საქართველოზე, რომლის მზესაც ფიცულობდნენ, თუ ემღერებოდათ, ქართულად მღეროდნენ, თუ ეტირებოდათ, ქართულად ტიროდნენ. დღეს რა თქვან? როგორ მოუტრიალდებათ ენა ამის სათქმელად, ჩვენს საქართველოში მიცვალებული მოგვპარესო?!

მე არ მშურს მათი: დედის ძაგება არავის სურს და არც უხდება, გულს მოწოლილი ვარამი კი თუ არ ამოთქვი, თავად ამოგხდის სულს.

ტელეეკრანიდან ვისმენდი მათ მწარე მონოლოგებს და თავს დაბლა ვხრიდი, რადგან სირცხვილი მწვავდა. ვიცი, მჯერა, იმ წუთებში ასეთ დღეში იყო სრულიად საქართველო...

რა ვქნათ? რა მოვიმოქმედოთ? ყველას გეკითხებით — ამ მიწაზე მცხოვრებ ყველა ერის კაცს, იქნება იგი ქართველი თუ ებრაელი, სომეხი თუ თათარი, რადგან ყველას ერთნაირად წაგვლეკავს ეს ჭირი.

სად ვიპოვოთ, როგორ დავიბრუნოთ ის ჭეშმარიტი, ნათელი, ნამდვილი საქართველო — ილიას, აკაკის, საბა კლდიაშვილის, მრავალი სხვა პირნათელი, სახენათელი ადამიანის საქართველო, რომელიც გვზრდიდა, რომელიც ასერიგ გვიყვარდა?!

გურამ ბათიაშვილი.
27 მარტი, 1992.

ახალი ამბები

როგორ აღვკვეთოთ დამნაშავეობა?

ვერაფრით ვერ გაგვახარეს ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მოსულმა ქალაქ თბილისის სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებმა. შეხვედრა გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივანმა აკაკი სიხარულიძემ. ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსმა გია გულუამ, ქალაქის პროკურორმა მიხეილ ქურდაძემ, ქალაქის სასამართლოს თავმჯდომარემ დავით კალმახელიძემ საკმაოდ შემაშფოთებელი კრიმინოგენული სურათი დაგვიხატეს. სამწუხაროდ, უკვე ყველაფერს შევეჩვიეთ: იზრდება გაუხსნელ დანაშაულობათა რიცხვი, მოსახლეობაში მრავლად არის ცეცხლსასროლი იარაღი, მილიციას, რომელიც გაპარტახებამდე მიიყვანა წინა ხელისუფლებამ, ჯერ კიდევ არ შეუძლია გვიჩვენოს, თუ რა ძალუძს. შემცირდა ბინის ქურდობათა რაოდენობა, მაგრამ ეს ხდება მძიმე დანაშაულობათა — მაგალითად, მკვლელობის ყოველდღიური ზრდის ფონზე.

შეხვედრაზე დამსწრეთ აცნობეს, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ქმედითი ბრძოლისათვის შეიქმნა საკოორდინაციო ცენტრი, რომელშიც შევიდნენ რესპუბლიკის ყველა სამართალდამცველი ორგანოს წარმომადგენლები.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სტუმრებმა უპასუხეს კორესპონდენტთა მრავალ კითხვას.

გია კორძაძე.

დაჭრილები არ არიან, ისროდნენ ჰაერში

25 მარტს ჭადრაკის სასახლის მახლობლად მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, სადაც საქართველოს მწერალთა XI ყრილობა მიმდინარეობდა, ხმები გავრცელდა, ხალხი დაჭრეს და დახოცესო.

ეს ხმები კატეგორიულად უარყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილემ ბადრი ოსიტაშვილმა. მან საქინფორმის კორესპონდენტს განუცხადა, რომ ამ დღეს თბილისის საავადმყოფოებსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში არ მიუყვანიათ არც დაჭრილები და არც დახოცილები.

რა ღირს ბორჯომის საგზური?

დღეს ფასების ზრდა აღარავის აკვირვებს. ცხადია კურორტზე მკურნალობაც გაძვირდა. აპრილიდან, კურორტ ბორჯომის პროფკავშირული სანატორიუმის 24-დღიანი საგზური 2200-დან 3500-მანეთამდე ეღირება და შესაძლოა კიდევ გაძვირდეს.

კომპიუტერი დაეხმარება „07"-ს

კომპიუტერული საინფორმაციო ტექნოლოგიური სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის თანამშრომლებმა იკისრეს დაეხმარონ „07" და „08"-ის სამსახურებს, რომელთა მუშაობა მილიონიანი თბილისის მცხოვრებთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. მათ გადაწყვიტეს დააპროექტონ კომპიუტერული სისტემა საერთაშორისო სატელეფონო შეკვეთების ავტომატური მიღებისა და შესრულებისათვის.

როგორი იქნება საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირი, როცა ძირითად ტვირთს კომპიუტერი იკისრებს? — ასეთი კითხვით მიმართა საქინფორმის კორესპონდენტმა ცენტრის უფროსს გოგი გომელაურს.

— როცა აბონენტი აკრეფს „07"-ს, — თქვა მან, — ტელეფონისტთან უკონტაქტოდ შეუკვეთავს ლაპარაკს ნებისმიერ ქალაქთან შესაბამისი კოდის მეშვეობით, თუ კოდი და ნომერი სწორად იქნება აკრეფილი, კომპიუტერი აცნობებს, რომ შეკვეთა მიღებულია. ავტომატიკა მას თავად ჩააყენებს რიგში და საჭირო მომენტში შეასრულებს შეკვეთას. თუ ხაზი გადატვირთული იქნება, შემკვეთის ბინაში გაისმის ზარი, რომელიც შეატყობინებს მას, რომ შეკვეთა ყოვნდება. კომპიუტერი აცნობებს შემკვეთს იმ შემთხვევაშიც, თუ დაზიანებულია ხაზი, სულ 30-40 წამი დასჭირდება იმას, რომ ავტომატიკამ მიიღოს შეკვეთა. ახლა კი ამისათვის ორი წუთია საჭირო. ახალი სისტემა იმოქმედებს იმასთან პარალელურად, რომლითაც ვსარგებლობთ „რვიანის" მეშვეობით, ასე რომ, აბონენტებს არჩევანის შესაძლებლობა გაუჩნდებათ.

ლუდმილა იაკობაშვილი.

დაფუძნდა საინჟინრო აკადემია

საქართველოს კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში თავი მოიყარეს რესპუბლიკის თითქმის ყველა ტექნიკურ მეცნიერებათა და საინჟინრო საბაზო საწარმოო გაერთიანებათა წარმომადგენლებმა. მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საინიციატივო ჯგუფის წინადადებას, რომ საქართველოში საჭიროა დაფუძნდეს საინჟინრო აკადემია. აკადემიის წესდების განხილვისა და სამომავლო პრობლემების გადაწყვეტის გაანალიზების შედეგად შეკრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს ეს წინადადება.

მარატ ღვალაძე.

დაიგვიანა, ჯერ არა ჩანს...

— **მერამდენე** დღეა ჰოლანდიიდან ჰუმანიტარულ დახმარებას ველოდებით, მაგრამ ამაოდ — ტვირთი არა ჩანს!, — გვითხრა ქალბატონმა მადონა მგელაძემ, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურულ ურთიერთობათა საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ.

ოთახში მასთან ჰოლანდიის ტექსელ-საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტი მარია დე გრაფი შემოდის. ქალბატონი, რომელმაც საქართველოს მრავალგზის გაუწია დახმარება გაჭირვების ჟამს. ახლანდელი მისი ვიზიტი „სამედიცინო აქცენტისაა".

— ეღლავ — ამბობს ჰოლანდიელი სტუმარი, — თითქოს გული მიგრძნობდა, რომ ასე მოხდებოდა. ამსტერდამში აეროფლოტის წარმომადგენელმა ბარგი თან არ გამომატანა, პირობა მომცა ტვირთი ადგილზე დაგიხვდებათო. დაიმედებულმა მოსკოვშიც არ მოვიკითხე. მომქონდა სამედიცინო მეთოდიკური ლიტერატურა, მედიკამენტები, სამედიცინო ინსტრუმენტები. მომავალი დღეებისთვის ვაპირებთ სამედიცინო საკონსულტაციო ცენტრის გახსნას. იმედი მაქვს, რომ ამ საქმეში თქვენი ფინანსისტები და სათანადო ფონდებიც დაგვეხმარებიან.

...ტვირთი კი ჯერაც არა ჩანს.

ია კალანდარიშვილი.

გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტები

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი

რეპლიკა

დაფლეთილი წიგნები...

ყველამ იცის, რომ 25 მარტს ჭადრაკის სასახლეში საქართველოს მწერალთა მეთერთმეტე ყრილობა გაიხსნა, მაგრამ ალბათ ყველას არ ეცოდინება, თუ რა საჩუქარი მოუმზადა მწერლებს მკითხველთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც შესასვლელთან იდგა და ბობოქრობდა... ისმოდა ცალკეული შეძახილები, ქართველ მწერალთა სახელები — არ იფიქროთ, რომ კეთილი გულით მოიხსენიებდნენ მათ, უფრო მეტიც, მათ წიგნებს გლეჯდნენ და ფეხით თელავდნენ, წვავდნენ...

ვინ იყვნენ ამ აუტოდაფეს თაოსნები? სამწუხაროდ, ისევ მანდილოსნები, ქალები, რომელ-

თაც დაივიწყეს სიტყვა მანდილი, და მისი ჯადოსნური ძალა — ნაცვლად მშვიდობისა, ისინი შუღლს აგდებენ ხოლმე სხვადასხვაგვარად მოაზროვნე ქართველებს შორის, მოქალაქეებს შორის, ახლა მწერლებს გამოუცხადეს უნდობლობა და არ დაინდეს მათი შემოქმედება.

ქალებთან და რამდენიმე ხნიერ მამაკაცთან ერთად აქ ყმაწვილებიც ტრიალებდნენ — ისინი, ვისაც, ალბათ, არაერთხელ წაუკითხავს სიყვარულით ჭაბუა ამირეჯიბის, აკაკი ბაქრაძის, მურმან ლებანიძის, რევაზ მიშველაძის, იზა ორჯონიკიძის, გურამ ფანჯიკიძის, მორის ფოცხიშვილის, ჯემალ ქარჩხაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ტარიელ ჭანტურიას, რევაზ ჭეიშვილის, რევაზ ჯაფარიძის წიგნები და ალბათ სათუთადაც ინახავდნენ მათ. ახლა კი რა მოხდა? ვინ წააქეზა ისინი ქართული წიგნების ხელყოფისათვის? უფროსების მიერ მიცემული ეს „გაკვეთილი" ხომ დაღად დააჩნდება მათ სულს?!

მარტო თანამედროვე პოეზიისა და პროზის ნიმუშები კი არა, თვით „ვეფხისტყაოსანიც" კი გაიმეტა უკეთურთა ჯგუფმა და მერე თავს იმართლებდნენ, ნოდარ ნათაძის შესავალი ჰქონდა და იმიტომო... ნაწილმა კი იუკადრისა, როგორ შეგვწამეს რუსთაველის ხელყოფა, ეს თვითონ გამოიგონესო...

...დაფლეთილი წიგნები კი ფურცელ-ფურცელ ეყარა ვერის პარკში და მათ შემხვედრეს უთუოდ ცრემლი მოადგებოდა თვალზე. უნებურად ავკრიფე რამდენიმე მათგანი.

როგორ იქნება
ქვეყნის საქმე,
კარგად თუ გლახად?
დაუფიქრდი, კახა,—
ჯერ არ თქვა...

...ეს ჯანსუღ ჩარკვიანის ერთ-ერთი ლექსის სტრიქონებია...

მართლაც, როგორ იქნება, ბატონებო და ქალბატონებო, ქვეყნის საქმე, თუ ჩვენვე არ გავუფრთხილდით ჩვენს სულიერ საგანძურს?! ასეთი საქციელი არა და არ გვეკადრება.

ნანა ღვინეფაძე.

თათარიშვილი ვარ, ბატონო სოსო, თათარიშვილი... რამ გამააბაიშვილა!

გაზეთ „კაბადონის" 26 მარტის ნომერში დაიბეჭდა სოსო ბაღაშვილის წერილი „უცნაურობის უცნაურობანი", რომელშიც ავტორი დაბეჯითებით აუწყებს მკითხველებს: 1992 წლის 21 მარტის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" პირველ გვერდზე რედაქციამ მისი ყოფილი მთავარი რედაქტორის ქალბატონ მარიკა აბაიშვილის ფოტო დაბეჭდაო. არადა, ამ ფოტოზე მე ვარ აღბეჭდილი — ნანა თათარიშვილი. სურათი კარგა ხნის წინათ გადამიღო მამაჩემის — ფოტოჟურნალისტთა კავშირის წევრის მერაბ თათარიშვილის მეგობარმა, ცნობილმა ფოტოოსტატმა სიმონ კილაძემ.

ნანა თათარიშვილი,
ფილოლოგი.

გუშინ ნ. თათარიშვილი ჩვენს რედაქციას ეწვია და ეს ფოტოც იქვე ს. კილაძემ გადაუღო.

კვირის კრიმინალური ქრონიკა

გასულ კვირაში რესპუბლიკაში უფრო გართულდა ოპერატიული ვითარება: 7 მკვლელობა, 42 ყაჩაღობა, 110 ქურდობა, გატაცებულია 34 ავტომანქანა, 36 ავტოავარიაში დაიღუპა 10 ადამიანი — ასეთია ტრაგიკული სტატისტიკა.

იმარჯვა პენსიონერმა

სამი ავტომატიანი ყაჩაღი საღამოს ცხრა საათზე მიადგა ქვიტირელი (წყალტუბოს ზონა) პენსიონერის ვაჟა ჩიტეიშვილის სახლს: კახა კალმახელიძემ, კონსტანტინე კალმახელიძემ და მალხაზ ფიცხაძემ სახლიდან გამოიხმეს ოჯახის უფროსი, რომელსაც ავტომატიდან ესროლა კახაბერ კალმახელიძემ.

ვ. ჩიტეიშვილი უმალ სახლში შებრუნდა და სანადირო თოფი ყაჩაღს დაახალა. მძიმედ დაჭრილმა კახაბერ კალმახელიძემ მხოლოდ ორასიოდე მეტრზე შეძლო გაქცევა. დანარჩენები მიმალვას შეეცადნენ, მაგრამ სოფლელების დახმარებით მალე დააკავა მილიციამ.

მექანიზატორი ქურდები

ავტომანქანების გატაცება პრაქტიკულად არ კლებულობს.

ახლა ჯერი ტრაქტორებზე მიდგა. 20 მარტს გადაჭრილი სანადირო თოფით შეიარაღებული ორი ბოროტმოქმედი აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში წინ გადაუდგა ამ სოფლის ეთერზეთების მეურნეობის მექანიზატორს ვაჟა გოგიავას და ტრაქტორიდან ჩამოსვლა უბრძანა.

სენაკის რაიონის სოფელ ნოსირის მცხოვრებმა მამუკა სირიამ — ამ ორიდან ერთმა — ვერ დაუმტკიცა მილიციას, რომ მისი მოქმედება საგაზაფხულო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობის სურვილით იყო ნაკარნახევი.

ამბობენ, კარაულელ შოთა ნაქვეხრიშვილსაც ეს მიზანი ამოძრავებდა, როდესაც სოფელ მუკუზნის მცხოვრებს გივი მუშკუდიანს ხელის სახნავ ტრაქტორს ჰპარავდაო.

იპარავენ კარაქს და... დაკონსერვებულ სისხლს

19 მარტს, შუაღამისას, ოთხი ნიღაბაფარებული ბოროტმოქმედი, რომელთაგან ორი შეიარაღებული იყო ავტომატით, ერთიც — გადაჭრილი თოფით, თავს დაესხა ქუთაისის რძის კომბინატის დაცვის დარაჯებს გიორგი ცნობილაძესა და გიორგი ბერიკაშვილს, ჩაკეტეს ისინი ადმინისტრაციული კორპუსის დერეფანში, გატეხეს საწყობი და 1,5 ტონა კარაქი გაიტაცეს. არ გინდა ამდენის გაზიდვა? მაგრამ ეს რა სახსენებელია იმ ქურდობასთან, რომელიც სოხუმში 21 მარტს მოხდა. დაუდგენელმა პირებმა სისხლის გადასხმის სადგურიდან მოიპარეს სამი მაცივარი, 20 ფლაკონი დაკონსერვებული სისხლი, 10 ფლაკონი პრეპარატი „გემოდეზი".

საფულეში იდო... მანეთიანი

23 მარტს ცუდ ფეხზე ადგა ჯიბის ქურდი დავით ტურაბელიძე. თბილისის ცენტრალურ ბაზარში დიდუბის მილიციის თანამშრომლებმა იგი მაშინ დააკავეს, როცა მოქალაქეს ხელჩანთიდან საფულე ამოაცალა. საფულეში იდო... მანეთიანი.

ბავშვს რაღას ერჩოდნენ...

ხუთმა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა 19 მარტს ახალციხეში რაფიკ მელქონიანის სახლიდან გაიტაცეს 25 ათასი მანეთი, ვიდეომაგნიტოფონი და ტანსაცმელი. — ფეხი მოსტეხეს ოჯახის დიასახლისს, ორი წლის ბავშვს კი დანით გადაუსერეს შუბლი.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ კონტროლი დააწესა ამ დანაშაულის გახსნაზე.

ვალერიან გოგოლაშვილი.

გავაზი
სადაზღვევო კომპანია

საწარმოებს, ორგანიზაციებს, ფირმებსა და კერძო პირებს

სადაზღვევო კომპანია „გავაზი" გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

გადასახდელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებია, რომელთა შექმნაც მხოლოდ „გავაზს" შეუძლია.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 48, ტელ.: 39-55-67, 39-11-64.

გახსოვდეთ!

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით. „გავაზი" თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!

საქართველოს ღვინის ბირჟა
Georgian Wine Exchange 1992

ვინც ღვინის ყადრი იცის!

წარმატება როგორც ღვინო ახვევს თავბრუს.. მაგრამ არა ქართული ღვინის ბირჟის მომწყობებს, რომლის ბიოგრაფიის ბრწყინვალე დაწყება აღნიშნეს ამ დღეებში!

და კვლავ, 31 მარტს, დღის 12 საათზე საჯარო ვაჭრობაზე ვიწვევთ იურიდიულ და კერძო პირებს, რომლებსაც სურთ შეიძინონ ან გაყიდონ ღვინო-არყის ნაწარმი და დამხმარე მასალები (ბოთლები, საცობები, ლიმონის მჟავა, დექსტრინი).

ჩვენი მისამართია: თბილისი, ა. წერეთლის პრ. 118, გამოფენა, პავილიონი № 5.

ტელეფონები: 35-49-35, 35-10-11.

საქართველოს ღვინის ბირჟა.

სიცილი წამალია

არც ერთი ოჯახი ისე, რომ არ ჰქონდეს „სალაღობო კალენდარი"

საქართველოს სატირულ-იუმორისტულმა ასოციაციამ კეთილშობილური საქმე ითავა: წიგნის ბაზარზე გამოჩნდა „სალაღობო კალენდარი".

ეს სქელტანიანი კალენდარი წელიწადის 366 დღეს სატირულად ასახავს. მკითხველს გამოჩენილ პირთა ცხოვრების სახალისო ეპიზოდებზე უამბობს, უხვად სთავაზობს ქართულ ხალხურ და უცხოურ იუმორს, ქართველ მწერალთა ნაკვესებს, მხატვარ-კარიკატურისტთა საუკეთესო ნამუშევრებს.

ერთი სიტყვით, „სალაღობო კალენდარი" გარანტიას იძლევა, რომ ყოველ დილით ღიმილმა გაუხსნას შუბლი ათასი საზრუნავით შეჭირვებულ მკითხველს ამ ჩვენს პირქუშ ეპოქაში.

სამწუხაროდ, კალენდრის ტირაჟი დიდი არ არის (40 000 ეგზ) და ყველას ვერ გასწვდება. სასურველი კია, რომ ყოველ ქართულ ოჯახში შევიდეს სიმხნევისა და ხალისიანი განწყობილების მომტანი, ერთობ კარგი საჩუქარი — ქართული „სალაღობო კალენდარი".

სალაღობო
კალენდარი
1992

ეს ჩვენი საქართველოა

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო").

განმარტება

ჩვენი გაზეთის 26 მარტის ნომერში დაიბეჭდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი მასალა „შევისმინოთ და ვუთხრათ „ამინ!"".

მეორე დღეს დაგვირეკა ქალბატონმა შუქურა მაისურაძე-თალაკვაძემ და სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ გაზეთის პუბლიკაციაში გაპარულია შეცდომა — დეკანოზ თალაკვაძეს ერქვა არა ნიკოლოზი, არამედ ნიკიტა, იგი პაპაჩემი იყო.

რედაქციას ბოდიშის მოხდის მეტი არაფერი ეთქმის.

●

ჩვენი გაზეთის 26 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში „ჭორი სკოლასაც მისწვდა" ჩვენი თანამშრომლის დაუდევრობით გაიპარა შეცდომა. ბოლო სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: სწავლა განახლდება 30 მარტს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ხოზიაშვილი.

თავშესაქცევად



ქროსვორდი

თარაზულად: 7. სპარსული სალექსო ფორმა. 8. გაშალაშინებული ზედაპირის მოსასწორებელი ფოლადის თხელი ფირფიტა. 9. ძველი ქართული მწერლობის ძეგლი. 13. უ. შექსპირის ნაწარმოების პერსონაჟი. 14. მეცნიერული შრომა, რომელშიც განხილულია რაიმე ცალკეული საკითხი, პროგრამა. 15. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი. 16. ქალის თავსაბურავი. 17. აპრილის სახელწოდება ძველი ქართული კალენდრით. 18. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ქვეყნებში. 21. ამერიკის შტატი. 22. ევროპის სახელმწიფო. 24. რაიმე გამოცემა, ცალკე წიგნი. 26. X ს.-ის ქართველი ხუროთმოძღვარი, კუმურდოს ტაძრის მშენებელი. 28. მამაკაცის სასიმღერო ხმა. 29. კედლის ან ჭერის ნაწილი, რომელშიც თავსდება რაიმე ნახატი ან სკულპტურა. 30. კუთხის წვეროზე გასული და კუთხის შუაზე გამყოფი სწორი ხაზი. 33. ტვირთის გადაზიდვა შუალედურ პუნქტებში გადატვირთვის გარეშე. 34. მინდორი მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას, სადაც მიკვლეულია უძველესი ნამოსახლარი.

შვეულად: 1. ძველი ქართული ექსპრომტი, მოკლე რამდენიმე სტრიქონიანი სახელდახელოდ დაწერილი ლექსი. 2. მსჯელობის, განსჯის პროდუქტი. 3. მოძღვრება სწავლების შინაარსის, მეთოდებისა და ორგანიზაციული ფორმების შესახებ. 4. ღვთაების ან წმინდანის მხატვრული გამოსახულება. 5. ფრანგი მწერალი. 6. მეცნიერება ამა თუ იმ ენის აგებულების შესახებ. 10. პირველი ქართველი კათალიკოსი. 11. საჯაროდ დასაცავი სამეცნიერო შრომა. 12. ლითონის მთლიანი ხაზბედი ფორმა, რომელიც წარმოადგენს ანაწყობის კლიშეს ან პირს. 14. რომის პაპის გვირგვინი. 19. რისამე განხორციელება, რამეში წარმატების შესაძლებლობა. 20. ბერ-მონაზონთა საეკლესიო და საადგილმამულო ორგანიზაცია, თემი. 21. გოტიკურ არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ერთგვარი გარეგანი თაღი. 23. ვისიმე ან რისამე წინააღმდეგ მოქმედება. 25. დაბა თეთრი წყაროს რაიონში. 27. იტალიელი პიანისტი და დირიჟორი. 31. თბილისის ერთ-ერთი უბანი. 32. პარტია ჩოგბურთის თამაშში.

7 მარტს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. დონენი. 6. დიდონი. 10. ამანი. 11. ჩაროზი. 12. ტრიადა. 15. ეტნა. 17. ფორმატი. 18. ბაკი. 19. ბადაგი. 20. ჩანახი. 24. მალი. 25. ანჩოუსი. 26. იონი. 29. „იდიოტი". 30. დორინა. 31. შოლტი. 33. კაპური. 34. შტორმი.

შვეულად: 1. ანდაზა. 2. უნია. 3. ჯინი. 4. პოპური. 7. სპარტა. 8. ყალამი. 9. დუდუკი. 13. მორგანი. 14. შტრაუსი. 16. ადადი. 18. ბახში. 21. ბალდრი. 22. მოდელი. 23. ანონსი. 27. შტამპი. 28. დოლარი. 31. შარა. 32. იოტა.

თავშესაქცევად

თუ გინდათ არ დაბერდეთ

აი, რას გირჩევთ ფრანგული ჟურნალი „მოდ ტრავო", თუ გინდათ მუდამ ახალგაზრდად დარჩეთ.

უნდა:

1. ცოტა ჭამოთ,
2. ხშირად მიირთვათ თევზი.
3. სვათ მეტი წყალი.
4. მისდიეთ სპორტს.
5. რაც შეიძლება მეტი იაროთ.
6. სუფთა ჰაერი ისუნთქოთ.
7. კარგად გამოიძინოთ.
8. ხშირად იცინოთ.
9. ბებია მაშინ გახდეთ, სანამ ახალგაზრდა და ლამაზი ხართ.
10. გიყვარდეთ სიცოცხლე.

აგრეთვე

1. ზედმეტად ნუ გაძღებით.
2. მოერიდეთ ალკოჰოლს.
3. ბევრს ნუ მოსწევთ.
4. შინ ნუ იჯდებით.
5. საათობით ნუ უყურებთ ტელევიზორს.
6. ნუ ებუტებით ირგვლივ მყოფთ.
7. ულიმღამოდ ნუ ჩაიცვამთ.
8. ნუ დაკარგავთ იუმორის გრძნობას.
9. ნუ კიცხავთ ახალგაზრდებს.
10. გამოიზოგეთ გრძნობები.

მძაფრი დუელი

ამ ბოლო დროს მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვს გული გაუწყალა ინდოელმა დიდოსტატმა, 22 წლის ვიშვანათან ანანდმა. ახალგაზრდა მოჭადრაკე მსოფლიოში თავის დამკვიდრებისთვის იბრძვის და, ბუნებრივია, ყველაზე მეტად პლანეტის პირველ მოჭადრაკეს ერჩის.

-გთავაზობთ კასპაროვ-ანანდის პარტიებს ტილბურგის (ჰოლანდია) მატჩ-ტურნირიდან. მათი „კინემატოგრაფიული" გაცნობაც კი დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

კასპაროვი — ანანდი
სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 ლc7 5. მc3 e6 6. კe3 a6 7. კd3 მf6 8. 0-0 მe5 9. h3 კc5 10. მფh1 d6 11. f4 მc6 12. e5 მ:e5 13. fe de 14. კb5+ ab 15. მd:b5 ლc6 16. კ:c5 ლ:c5 17. მd6+ მფe7 18. ე:f6 gf 19. მce4 ლd4 20. ლh5 ეf8 21. ეd1 ლe3 22. ლh4 ლf4 23. ლe1 ეa4 24. ლc3 ეd4 25. ე:d4 ლf1+ 26. მფh2 ed 27. ლc5 მფd7 28. მb5 ლf4+ 29. g3. შავები დანებდნენ.

ანანდი — კასპაროვი
სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. f4 e6 7. კd3 მbd7 8. 0-0 ლb6 9. კe3 ლ:b2 10. მdb5 ab 11. მ:b5 ეa5 12. ეb1 ე:b5 13. ე:b2 ე:b2 14. ლa1 ეb6 15. კ:b6 მ:b6 16. ლc3 კe7 17. ეb1 მfd7 18. ლ:g7 კf6 19. ლh6 მფe7 20. კb5 ეg8 21. ეd1 e5 22. f5 მc5 23. ე:d6 კg5 24. ლ:h7 მ:e4 25. ე:b6 ეd8 26. კd3 კe3+ 27. მფf1 კ:b6 28. კ:e4 ეd4 29. c3. შავები დანებდნენ.

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-24. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29. ინდექსი 64434.